

K 36.080
2

中原农民出版社
郑州 450002

蒙古人民共和国

蒙古人民共和国

蒙古人民共和国

蒙古人民共和国



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ



Դանիել Վահագին

ՀՅԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



ՅՈՒՅՈՒ

Կ 36. 0. 80

ՅՈՒՅՈՒ



“ՅԱՅԱԾՈՎՈՒՄՈՂ”
ամսութեան 1968.



18-2000
არაგვის მუნიციპალიტეტი

ივანე პაპასქირი დაიბადა 1902 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულში. 1915 წელს დაამთავრა დაწყებითი სკოლა. 1917 წელს იგი ვლადიმიროვების ორწლიან სკოლაში შევიდა. 1919 წ. პაპასქირმა სწავლა განაგრძო სოხუმის სამასტავლებლო სემინარიაში. 1925 წ. მან დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1928-1929 წლებში ლენინგრადის აღმოსავლური ენგბის ინსტიტუტის მსმენელია. 1930 წლიდან 1938 წლამდე განაგებს გაზეთ „აფსნი ყაფშის“ პარტიულ განყოფილებას, ხოლო 1938-1939 წწ. მისი მთავარი რედაქტორია. ომის მრისხანე დღეებში პაპასქირი მოხალისედ შევიდა სოხუმის გამანადგურებელი ბატალიონის რიგებში. იგი დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

პაპასქირის სახელთანაა დაკავშირებული აფხაზური რომანის შექმნა. იგი მრავალი მოთხრობისა და ნოველის ავტორია. 1967 წ. პაპასქირს რომანისათვის „დიდი სიცოცლე“ და მოთხრობების ქრებულისათვის მიენიჭა დ. გულიას სახელობის ლიტერატურული პრემია.

1968 წ. რუსულ ენაზე გამოვიდა მისი ეპოპეა „ქალის ღირსება“.

დიდი დღე

ს აღამოს, როდესაც სი-
მამ ძროხები ეზოში შე-
რეკა, ვიებარქიანი ხა-

რი გამოეყო მათ და ბოსტნის წნულ ღობეს მიუახლოვდა.
შიუახლოვდა და კეფით ისე ძლიერ გაექიმა ზედ, რომ მარ-
გილები მოგლიჯა და ფართო ღობე მიწაზე დასცა.

ყოველ საღამოს ასე პქონდა ამოჩემებული და განა
გაუძლებდა წნელის სუსტი ღობე ძლიერ რყევას?

— უნან, შე მგლის კერძო, ეს რა პქენი? — დაიძახა
სიმამ, დაავლო ჯოხს ხელი და ესროლა. ხარი გაიქცა; ქა-
ლი ბოჩოლასთან მივიდა და ხელი ალერსით გადაუსვა
რბილ ბალანზე.

სიბნელეში ჩრდილოეთის ჭიშკართან მხედართა ჯგუ-
ფი გამოჩნდა.

ძაღლები წამოხტნენ და ყეფით გაექანენ მათკენ. სიმამ
ვაშლისა და დაფნის ხეების ფარდის იქით გაიხედა, მაგ-
რამ ვერც ერთი მხედარი ვერ იცნო.



ანაზდად მიატოვა ხბო, შეუწყრა ძაღლებს და სტუმა
რებისაკენ წავიდა.

ერთმა მხედარმა ღონივრად დაპერა მათრახი ცხენთან
მივარდნილ მყეფარს და ძაღლიც წყავწეავით გაეცალა.

— შენი პატრონის დედაც... — ზედ გინება მიაყოლა.

„ნუთუ თავისი ამხანაგებისა მაინც არ შერცხვა?“ —
გაიფიქრა შეურაცხოფილმა სიმამ და იქვე გაჩერდა.

ცხენოსნები უკან გაბრუნდნენ.

შხოლოდ ორმა მხედარმა მიაგდო ცხენი სახლთან და
დაქვეციდა.

— შენთან სტუმრებია, ქალო, რას გაშეშებულხარ? —
დაუყვირა მას მეტინავემ.

სიმამ ახედა მათ, თმა ყალყზე დაუდგა, გულში ყინუ-
ლი ჩაეღვარა. ახლაღა მიხვდა, რა სტუმრებიც ეწვივნენ.

მის წინ იდგნენ თავით ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი
მენშევიკი ოფიცერი და ჯარისკაცი.

იყო მიზეზი, რომელმაც აიძულა სიმა ეფიქრა თავის
თავზე. ამ დროს მენშევიკური „მთავრობის“ ავტორიტეტი
ძალიან იყო შერყეული სოფლებსა და ქალაქებში. ყოველ-
დღე ჩხრეკდნენ და აპატიმრებდნენ ხალხს, მაგრამ სიმა
შაინც არ ფიქრობდა, რომ ამ საღამოთი ისინი ასე მოუ-
ლოდნელად ეწვეოდნენ.

— ჩვენ სტუმრები ვართ, მოგვიახლოვდი, ქალო, —
რაც შეიძლება ზრდილობიანად მიმართა მოსულმა ხელმე-
ორედ.

სიმა სწრაფად მივიდა მასთან.

— მობრძანდით, ბატონო! — თქვა მან და წინ გაუძ-
ნვა.



სტუმრებმა ღობის მარგილზე სადავით შიაბეს ცხენება და მასპინძელს შეჰყვნენ აკუასკაში.

სიმამ აანთო ლამპა და მაგიდაზე დადგა. მან გარკვეული დაინახა მხედრების ქამრებზე მიბმული ხელყუმბარები.

სტუმრებმა მოიხსნეს მხრიდან თოფები და იქვე მიაუღდეს. დასხდნენ, მაგრამ ფარაჯები არ გაუხდიათ.

ოფიცერი ასე, ოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა. ფეხებზე ჩექმა ეცვა, მკერდზე ჩინ-მედლები უბრწყინავდა. სახითაც სასიამოვნო შესახედი იყო. მეორე, მრგვალბირსახიანი კაცი, წვრილ, მოუსვენარ თვალებს ხარბად ავლებდა ოთახს და სიმასაც ისე დაკვირვებით უცქეროდა, თითქოს ერთი ნახვით შეყვარებოდა.

ქალს ეს მზერა არ მოეწონა, მაგრამ არა შეიმჩნია რა, მშვიდად იდგა და ელოდა, შემდეგ რა მოხდებოდა.

კარისკაცი ოფიცერთან შედარებით გამხდარი და შავ-გვრემანი იყო. ეცვა ძველი, დახეული, ტალახში ამოსვრიანი ფარაჯა, გარღვეული ჩექმიდან ფეხის თითები მოული ფარაჯა, გარღვეული ჩექმის უკან დაემალა ეს ჩანდა. იგი ცდილობდა მეორე ჩექმის უკან დაემალა ეს ფეხი, რათა სიმას არ შეემჩნია, მაგრამ მასპინძელი არავითარ ყურადღებას არ ამჟღავნებდა მისი ფეხისადმი, უფრო სხვა რამ აწუხებდა. ქალს სიმშვიდეს უკარგავდა მათი სტუმრობა.

— ეზიგუა არ არის შინ? — მოულოდნელად იკითხა ოფიცერმა.

— სატირალში წავიდა ნათესავთან, — იცრუა სიმამ.

— ამ საღამოს თუ მოვა?

— არ ვიცი, შეიძლება მოვიდეს, შეიძლება — არა. პატივითობა
ნობთ ჩემს ძმას?

— როგორ არ ვიცნობ, აქ, თქვენი სოფლის კანცელა-
რიაში შევხვედრივართ ერთმანეთს ხშირად. ბევრჯერ მე-
ცვეწა, სტუმრად მეწვიეო, მაგრამ დრო არ მქონდა და
სურვილი ვერ შევუსრულე. ამ საღამოს კი მოულოდნელად
აღმოვჩნდით აქეთ და, რომ არ წყენოდა, შემოვიარე.

— კარგია, რომ გაგხსენებივართ. ძალიან მოხარული
ვარ, მაგრამ თითქოს ჭიშვართან სხვებიც იყვნენ. რად არ
შემოიპატიუეთ თქვენი თანამგზავრებიც? — ჰეითხა სიმამ
და ბუხარს მიუახლოვდა.

— ისინი აუცილებლად უნდა წასულიყვნენ სადღაც
და წავიდნენ კიდეც, — მხიარულად უპასუხა ოფიცერმა.

— სოფელში სულ თქვენსავით შეიარაღებული სამხე-
დროები დადიან, ეტყობა, რაღაც საქმეებს ატრიალებენ,
მაგრამ ისეთი ბნელი და გაუნათლებელი ვარ, ვირ გავრ-
კეულვარ, — თქვა სიმამ და კაბის შეხსნილი ლილების
შეკვრა დაიწყო.

ფეხი ფეხზე გადადებულმა ოფიცერმა ეშმაკურად შე-
ხედა მას.

— არც ისე გულუბრყვილო უნდა იყო, როგორც თავი
მოგაქვს. რატომ დაინტერესდი იმ სამხედროებით, რომ-
ლებმაც აქ გაიარეს? ან იქნებ იტყვი, სოფელში მათი ყოფ-
ნა უკანონოა? რატომ დგახარ, დაბრძანდი, — დაუმატა
ოფიცერმა, რათა კითხვებისათვის უფრო თავაზიანი ფორ-
მა მიეცა.

— გმადლობთ, არ წავიქცევი, თქვენზე პატივსაცემი აქ

ვინ მომივა, რომ ფეხზე არ ვიდგე? — თქვა ქალმა და და-შემომადგენლებს, ვინ უძატა: — თქვენ, ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვინ გაგიბედავთ შეკამათებას.

ოფიცერმა წარბები შეკრა და ისევ დაკვირვებით შეხე-და სიმას.

— ალბათ რამე იცი, — ჩაილაპარაკა მან თავისთვის და ხმას დაუწია.

სიმამ გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ ისეთი გამომეტყ-ველება მიიღო, თითქოს არაფერი გაუგონია, ცდილობდა, არ შეემჩნევინებინა სტუმრისათვის თავისი დარდი და ისე იქცეოდა, თითქოს მათი მოსვლით ფრიად გახარებული იყო; დაბნეულს გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

ძალიან ლამაზი იყო სიმა. ყოველი ნაკვთი იმდენად მომხიბვლელი და მიმზიდველი ჰქონდა, იფიქრებდით: თვითეული ნაწილი ცალ-ცალკე გამოუკვეთიათ და მერე შეუერთებიათო. თეთრყირმიზას მაყვალივით შავი თვალე-ბი ჰქონდა, გამოხედვა — მოწმენდილ ცასავით კრიალა და გამჭვირვალე, ხელის თითები — გრძელი და თლილი.

ქალმა სინანულით შეხედა ჯარისკაცის ჩექმიდან სა-ცოდავად გამოცვენილ თითებს.

„სციგა ალბათ საბრალოს“, — გაიფიქრა მან და ოფი-ცერს შეხედა, იგი თვალს არ აშორებდა სიმას.

— მაპატიეთ, რომ გტოვებთ, ხბო უნდა დავაბინაო, — თქვა ქალმა და კიბეზე ჩავიდა.

ოფიცერმა ქალს თვალი გააყოლა, წარბები შეკრა და ჩაფიქრდა.

სიმამ შეამჩნია, რომ მას შორისახლო ვიღაც მიჰყვე-



ბოლა. იცნო სახლის უკანა კარიდან გამოსული კაცი.

— „ეტყობა, ოფიცერმა გამომაყოლა, რათა გაიგოს, სად მივდივარ“, — გაიფიქრა და ისევ განაგრძო გზა.

ჯარისკაცი ჩუმად გაუყვა ღობეს, თითქოს არც კი აინტერესებდა, მასპინძელმა საით აიღო გეზი.

სიმა მივიდა ჭიშკართან და ხბორები მოუწველელ ძროხებზე მიუშვა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ შერეკა სახ-ბორეში და სამზარეულოსაკენ გასწია.

სიბნელეში ვიღაც კაცი დაინახა, რომელიც მის მიახ-ლოებაზე კუთხეში მიიმაღა. მოტრიალდა და სახლთა-ნაც შეამჩნია ვიღაც. დააკვირდა და ის ჯარისკაცი იცნო, წელან რომ გამოპყვა.

გაუკვირდა, რომ ძალამა უცხოებს არ შეუყეფა.

„ალბათ საჭმლით უმასპინძლდებიან“, — დაასკვნა მან, ძლიერ შეაწუხა ამ ამბავმა.

„რა უნდათ ნეტავ? რატომ შემოარტყეს სახლს ალყა და უთვალთვალებენ? უეჭველია, რაიმე საზიზღრობას აპი-რებენ ამ ღამით, მაგრამ რას?“

უეცრად სიმა მიხვდა, რად მობრძანდნენ მასთან ეს შავი სტუმრები. უნდოდათ მისი ძმა დაეპატიმრებინათ.

გულმა ისე დაუწყო ცემა, თითქოს ესაა, გადმოვარ-დებაო. სიმა მივიდა ღობესთან, შეჩერდა, ხელები გულზე ჯვარედინად დაიწყო და ცას ახედა. სადღაც ჭიატობდა ერთი ვარსკელავი. მერე იმასაც ღრუბლები წამოეძალა და თვალთაგან მიეფარა.

მწუხარე აზრები ერთიმეორის მიყოლებით ერეოდნენ



ქალს თავში. ოჯახურ საქმეებზე აღარ ფიქრობდა, მის მიერთება
სულს მძიმე ლოდი დასწოლოდა.

ის მაშინ აფორიაქდა, რა წამს ეზოს ჭიშკართან ხალხი
დაინახა. მან არ იცოდა, რას მოასწავებდა ეს, მაგრამ უხი-
ლავმა წინაგრძნობამ შეაძრწუნა.

ვისზე ფიქრობს ამჟამად სიმა? რატომ დაუფლებია
ასეთი წუხილი მთელ მის არსებას? ნუთუ მარტო ძმის
პედზე ფიქრობს? — არა, მარტო მასზე არ ფიქრობს სიმა.

მდინარის გაღმა არალეგალურად მომუშავე პარტიუ-
ლი ჯგუფის კრებაა, რომელშიც მონაწილეობენ სანდო,
უპარტიო გლეხები. კრებას ხელმძღვანელობს პარტიული
ჯგუფის მდივნის თანაშემწე ეზიგუა — სიმას ძმა. კრება
იხილავს მნიშვნელოვან საკითხს: ახლოვდება ზეიმის დღე,
რომლის მსგავსიც ჯერ არ ყოფილა, — წითელი არმია მო-
დის აფხაზეთის გასათავისუფლებლად.

სიმას უნდა, რომ არ გამოეთიშოს ამ წმინდა ბრძო-
ლას. თუკი მოინდომებს განა მამაკაცზე ნაკლებ გმირობას
ჩაიდენს. ეს დრო კი, აპა, მოახლოებულია.

მან ღრმად ამოისუნთქა და უცბად შეშინდა, თითქოს
ამ აზრების გაგება სხვასაც შეეძლო. მოშორდა ღობეს და
ყურადღებით მიმოიხედა.

ერთ ხანს დაფიქრდა.

ამათ რომ იცოდნენ, სად ტარდება კრება, აქ ასე არ-
ხეინად არ იქნებოდნენ. თუ იმასაც ვიანგარიშებთ, რომ
გულმოდგინედ მითვალთვალებენ, საჭირო უნდა ვიყო იმ
წმინდა საქმისათვის; ტყუილად ვარ აქამდე ეზოში უქმად.
სჯობია თვალყური ვადევნო ამათ და კრებასაც დროზე
შევატყობინო სოფელში ამ ვაჟბატონების ყოფნა.

უცებ ეჭვმა გული გაუყინა:

კი მაგრამ, სად წავიდნენ ის მხედრები, რომელნიც შეიშკართან დაშორდნენ აქ დარჩენილთ და ეზოშიც არ შე-შოსულან? აქამდე ვერ მოისაზრა და ახლა გაახსენდა მე-ზობლებიც, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა ამ საქ-მისათვის. მაგრამ ისინი არც ისე ახლოს ცხოვრობდნენ და, გარდა ამისა, ყველაზე უფრო სანდო კაცები კრებაზე იყვ-ნენ. ესეც არ იყოს, როგორ უნდა აცნობოს მათ, თვალს რომ არ აცილებენ.

სიმა მოსცილდა ღობეს, მიიხედ-მოიხედა: შემდეგ იმ ადგილას მივიდა, სადაც ხარმა ღობე წააქცია და ბოსტან-ში გადაიხედა. ვერაფერი შეამჩნია სიბნელეში.

„ამ ბანდიტებმა რომ არ მიაგნონ კრების მონაწილე-ებს, თავი უნდა მოვაჩევონ სტუმართმოყვარე და კეთილ ადამიანად, დიახ, ვახშამს მივართმევ. გზააპნეულ ძაღლ-საც მიუგდებენ ღომის ნარჩენს“.

დაასკვნა თუ არა ეს სიმამ, სწრაფად გატრიალდა და სამზარეულოსაკენ გასწია.

შიგ შესვლისთანავე უდარდელად აანთო ცეცხლი და შედგა ქვაბი ღომისათვის. გარეგნულად მშვიდი ჩანდა, თავში კი ერთიმეორის საწინააღმდევონ აზრები ერეოდა.

კარგა ხანს უცდიდა, სანამ წყალი ადუღდებოდა, გა-ახსენდა, რომ ფქვილი გასაცრელი იყო და ვიდრე ფქვილს ცრიდა, შეშა მთლად გამოიწვა და წყალმაც შეწყვიტა დუ-ღილი. ხელახლა შეუნთო ცეცხლი. საკმაო დრომ გაიარა. როდესაც გააკეთა ღომი, ქვაბი უფრო ზევით დაჰკიდა.

კიდევ უფრო მეტი დრო გავიდა, სანამ შაშხი შეწვა.



ვერ დაწყნარდა.

კედელს ყური მიადო და კარგა ხანს იციდა — აკუას-
კიდან რაიმე ხმა ხომ არ ისმისო.

იგრძნო, რა დიდი მოვალეობა ეკისრებოდა.

„დროა, ვახშამი მივართვა“, — ფიქრობდა ქალი.

ცოტა ხანს ყოყმანობდა.

— ახლა საჭიროა საინები, — თქვა მან, წავიდა აკუას-
კისაკენ და უკანა კიბით ავიდა სასადილო ოთახში.

ოთახში ჯერ არ იყო შესული, რომ იატაკზე რაღაცის
დაცემის ხმა მოესმა. კარის შეღებისას წინ შეეცეთა შავ-
ფოჩებიანი წითელი ბაშლიყით თავშეხვეული კაცი, — აივ-
ნიდან ჩამოდიოდა, სანათის შუქზე კართან დაგდებული
ძვლის ჩიბუხი გამოჩნდა, რომელიც ალბათ ამ დაუპატიჟე-
ბელ სტუმარს დაუვარდა.

სიმა მიხვდა, ეს კაცი კრების ადგილსამყოფელის გამ-
ცემი უნდა ყოფილიყო.

„უთუოდ უკვე მოასწრო დაბეზღება“, — გაიფიქრა
სიმამ და შიშისაგან სისხლი გაეყინა ძარღვებში. თითქოა
ადგილზე მიალურსმნესო, ფეხი ვეღარ დაძრა ადგილიდან.

ოთახში, ვითომც არაფერიაო, ბოლთას სცემდა ოფი-
ცერი.

— რა დაგემართათ, მობრძანდით, — ფეხები გაჩაჩხა
ოფიცერმა და გაჩერდა მის წინ.

ლაპარაკში ძალდატანება ემჩნეოდა. ეტყობოდა, ქა-
ლის მოულოდნელად შემოსვლა არ ესიამოვნა, სიტყვები
კბილებშუა გამოსცრა.

ქალი შეკრთა და გაშრა.

„ნუთუ უნდა დავბრუნდე?“ — გაიფიქრა მან. შერე გადაწყვიტა, გამოსავალი მოენახა. მან შეხედა ოფიცრის რევოლვერს, რომლის ბულეც ისევ გახსნილი იყო, ხელ-ყუმბარებიც ისევ საწოლის ერთ კუთხეში ეწყო.

— რამ შეგაშინა, რა მოხდა? — კიდევ ჰკითხა ოფიცერმა, ხელები ქამარში ჩაიყო და ქალისაკენ ნაბიჯი გადადგა.

— ვახშამი მოვამზადე და საინებისათვის მოვედი, — უპასუხა სიმაშ არაბუნებრივი სიმხიარულით და იმ ადგილს მიაშურა, სადაც საინები ეწყო. თუ მოასწრო მათი გატანა ოთახიდან, მაშინ რაც შეიძლება ჩქარა წავა და აცნობებს კრებას, რომ მათი ადგილსამყოფელი გაცემულია.

— გაჩერდი. ახლავე მითხარი, რა საიდუმლოებას გვიმაღლავ, — ოფიცერმა მხრებში ხელი სტაცა და თავის-კენ მიაბრუნა ქალი.

— რომელ საიდუმლოებაზე ლაპარაკობთ? მე არა-ფერი ვიცი, — ზიზღით შეხედა ქალმა და უკან დაიხია.

— არ იცი? მშენივრად იცი. სად არის ეზიგუა? — იყვირა მან და ჩქემის ქუსლი გაშმაგებით დაპერა იატაკს.

— ხომ გითხარით, სადაც არის, — არ შეშინებია სიმას.

— ეშმაკი ხარ, ლეკო. ჩემს მოტყუებას ფიქრობ? მოიცა, კარგად აგალაპარაკებ, გვილის წიწილო. — კაბაში ხელი ჩაავლო და შეანჯლრია.

— რას შერებით? გამიშვით ახლავე. — ხელი გაჰკრა ხელზე, თავი გაითავისუფლა და ის იყო, უნდა გავარდნი-

ლიკო იმ კარში, რომლითაც შემოვიდა, რომ ოფიცერმა ხელი სტაცა ნაწინავებში და არ მისცა საშუალება ადგილიდან დაძრულიყო.

— კრებაზე აპირებდი წასვლას, არა? უშენოდაც მივაგნებთ იმას. შენი ადგილი კი მე ვიცი, სადაც არის.

ოფიცერმა გადაწყვიტა, სასადილო ოთახში ჩაეკეტა ქალი, ხოლო თვითონ თავისი ჯარისკაცებით კრებას დასცემოდა.

სიმა კარის კიდეს ჩააფრინდა და არ უნდოდა დამორჩილებოდა.

ოფიცერმა მთელი ძალით გაარტყა სახეში. ქალი წარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა.

როგორც კი გამაგრდა ფეხზე სიმა, მოტრიალდა და ერთი მანაც უთავაზა შეურაცხმყოფელს.

ოფიცერი სრულიად არ მოელოდა ქალის თავდასხმას.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ოფიცერმა წაავლო ქალს ყელში ხელი და უბიძგა შუა ოთახში მდგარი მაგიდისაკენ.

მაგიდა გადაბრუნდა და მასზე მდგარი შუშის ლამპა, ჭიქა და გრაფინი დაიმსხვრა.

სიმამ ანთებულ პატრუქს ფეხი დაადგა, ჩააქრო და სახლი გადაწვას გადაარჩინა.

ჩაქრა სინათლე და ოთახი სრულმა სიბნელემ მოიცვა.

ბრძოლა სიბნელეში უფრო გამძაფრდა. ისმოდა დარტყმის ხმები და გამწარებული ქალის კივილი.

უცერად გაისმა ქალის კვნესა. მას ზედ დაერთო სროლის ხმა და კაცის ყვირილი:

— მომკლა ამ ძუნამ, მომკლა. ოფიცერმა ხელი იტა-



ცა ცარიელ ბუდეზე, მაგრამ სიმას მოესწრო და აშენდა რარალი.

ქალი ეცა ქვედა აივნისაკენ მიმავალ კარს. ოფიცერი გამოეკიდა, მაგრამ სასალილო ოთახში სკამს წამოედო, წაიქცა და მაშინვე მშიერი მგელივით აყმუვლდა.

— წავიდა, გაიქცა, გაგვისხლტა! შეაჩერეთ, შეაჩერეთ!

ეზოში აქა-იქ გაისმა სროლა. სადღაც ახლოს აყელდა ტყვიამფრქვევი. ყველგან ისროდნენ ჩასაფრებულნი. ტყვი-ები წუილით, უგზო-უკველოდ იყარებოდნენ სიბნელეში.

სიმა გაიქცა. აივანზე დარჩენილი ოფიცერი კი გინე-ბით იოხებდა გულს:

— მოდით აქ, ოქვე უქნარებო და მეღორეებო, კაბიან-მა გაჯობათ. — მას უნდოდა თავისი სირცხვილი ჯარის-კაცებისათვის გადაებრალებინა.

— რა მოხდა, ჩვენ რომ არაფერი ვიცით! — ასანთი გაპკრა გრძელულვაშა ჯარისკაცმა, რომელსაც წვერი მთელ სახეზე მოსდებოდა.

ოფიცერმა დაიღრიალა.

— რას მიბედავ, გველო, როდის გითხარი, ასანთს მო-უკიდეო? ჩააქრე ახლავე.

გრძელულვაშამ ჩააქრო.

— შემოდით სახლში, — ბრძანა ოფიცერმა.

ყველა ოთახში შეგროვდა. მათ ფეხქვეშ გრაფინისა და ლამპის ნამსხვრევები ახრაშუნდა. შესვლისთანავე ასან-თი გაპკრეს.

სუსტ შუქზე მოათვალიერა ოფიცერმა იქ მყოფნი და

შათ შორის ჯარისკაცი ნიკო ბერაძე ვერ დაინახა.
 — სად არის ნიკო? — გამოსცრა მან.

ჯარისკაცებმა ერთურთს გადახედეს. არც ერთს არ გაუღია ხმა.

ოფიცერმა თავისი მხლებელი შეამჩნია. იდგა ჯარის-
 კაცი ორად მოკაკცული და მუცელზე ხელი მოეჭირა.

ოფიცერი სწრაფად მივიდა მასთან და ისე შეეცითხა,
 თითქოს სიტყვები ძალით ამოჰქონდა ყელიდან:

— სად არის ნიკო?

— ვკვდები, საშინალად მტკიცა მუცელი, ბატონო ოფი-
 ცერო. — ძლივს წაილაპარაკა ჯარისკაცმა. ნიკოს სახელი
 არც უხსესნებია.

ოფიცერმა ხელის ერთი გაქნევით აართვა ჯარისკაცს
 მხრიდან თოვი.

— ისეთი გამცემი, როგორიც შენა და ნიკო ხართ,
 ძალურად უნდა მოკვდეთ. ჩემზე უკეთესი მკურნალი არ-
 სად იქნება. ამ წუთში მოგირჩენ მუცელს.

გავარდა თოვი და ჯარისკაცი იატაკზე დაეცა.

იქ მყოფნი გაშრნენ. მოულოდნელმა სროლამ ყველას
 ჩაუგდო ენა.

წვერგაუსარსავი ჯარისკაცი მივარდა მომაკვდავს, წა-
 მოუწია თავი და მკერდზე მიიკრა.

ოფიცერმა დაიღრიალა:

— გაუშვი ხელი.

ჯარისკაცს არაფერი გაუგია. მაშინ მივარდა ოფიცე-
 რი, მძლავრად ჩაპერა ფეხი ხელებში და უძლურმა სხეულ-
 მა იატაკზე მოადინა ბრაგვანი.



ჯარისკაცმა ტანჯვეით დალია სული.

ვერავინ მიხედა საშინელი მრისხანების მიზეზს. 

იქნებ წვერმოშვებულმა იცოდა რამე? ვინ იცის? კი ცხადი იყო, იდგა ფერმიხდილი და წარბშეყრილი, ავი თვალით უცქეროდა სახეგასისხლიანებულ ოფიცერს, რომ-ლის ღაწვეც ტყვიას წითელი კვალი გაევლო. ახლა იგი საცოდავად გამოიყურებოდა, დაღლილი და ცხვირ-პირ-დაკაწრული. ნიკაპთან მოგროვილი სისხლი ფარავაზე წვეთავდა და წითლად ფერავდა ნაცრისფერ საყელოს.

სიბნელეში ყველა ანთებდა ასანთს, ვისაც კი ჰქონდა. უმთვარო ღამეში ეზოც ისე შავად ჩამობურულიყო, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

ამინდი იცვლებოდა, აცივდა.

ხმაამოულებლად უცქეროდა ოფიცერს მთელი კრებული. ხოლო მოკლულს ხანდახან ისეთი სიბრალულით გა-დახედავდნენ, რომ მნახველს გული ჩაეთუთქებოდა. გან-საკუთრებით წვერგაუპარსავი განიცდიდა მის სიკვდილს. იდგა მოშორებით საცოდავი და თავდახრილი.

ბოლთას სცემდა ოფიცერი ოთახში. დროდადრო შე-დგებოდა და მხლებლებს გადახედავდა. ლოყაზე ცხვირ-სახოცი მიედო და ქათქათა ნაჭერს სისხლით ღებავდა. მხოლოდ მოულოდნელმა შემთხვევამ შეაჩერა იგი, თორემ აქამდე თავის რაზმთან ერთად უნდა წასულიყო ერთი გადაუდებელი საქმის შესასრულებლად.

შეტი დაყოვენება აღარ შეიძლებოდა. ოფიცერმა გასცა განკარგულება, რაც შეიძლება ჩქარა შედგომოდნენ მათ-თვის დაკისრებული ამოცანის შესრულებას.

პარტჯგუფის კრებას ეზიგუა ბიძამისის, ჩაგუ კაკაჩიას

სახლში ატარებდა. ჩაგუ მდინარის ნაპირას ცხოვრობდა. მის კარ-მიდამოს ერთი მხრიდან კარგა დიდი ფლატე ესაზღვრებოდა, რომელიც მზიან ამინდში სხვადასხვა ფერად ბრწყინავდა. თუ ახლოს მიხვიდოდით, ფლატის ძირში დაინახავდით ღრმა და ვეება წყალსაცავს. წყალსაცავის გარშემო სხვადასხვა ზომის მაღლობები ჩანდა. მთას იქით ადგილი გავაკებულიყო. ხშირი ტყითა და ჰკლიანი ბუჩქნარით იყო დაფარული. ტყეს შიგა და შიგ შვინდი და ველური მუშმალა გარეოდა. როგორც კი გაზაფხულდებოდა, შავად დამწიფებული მაყვალი ბუჩქებზე ისე გადმოეკიდებოდა, როგორც საწვიმრად გამზადებული ღრუბელი ტყის თავზე.

ბუჩქნარში მიიკლაკნებოდნენ ბილიკები. არვის შეეძლო ამ ტყეში შესვლა გარდა გაბედული მონადირისა და ამ ადგილების კარგი მცოდნისა. ეკლები გაშმაგებით ედებოდა და ჩხვლეტდა გამვლელს და ტანსაცმელს ნაფლეთებად უქცევდა.

მდინარიდან პირდაპირ არ მიღიოდა გზა. აშიტომ ჩაგუს კარ-მიდამოში რომ მოხვედრილიყავით, ფლატისათვის ვიწრო ბილიკით უნდა შემოგევლოთ.

სახლი ხისა იყო, ორსართულიანი. პირველი სართულისა მხოლოდ ერთი კედელი ამოეფიცრათ. აქ საქონელს შერეკავდნენ ხოლმე ღამდამობით. აქვე ეწყო შეშა, ელაგა ყოველგვარი ნივთები და სიმინდის გადმოსაზიდი ძველი გოდრები.

კრება მეორე სართულზე იმართებოდა და ძირს ყოშელოვის გუშაგს ტოვებდნენ, რათა ქვევიდან იატაკზე ჯოხის დარტყმით საფრთხის მოახლოება ეცნობებინა.



დღეს აქ ოცდახუთ კაცს მაინც მოეყარა თავი. ულვაშაშლილ ახალგაზრდებს გარდა თეთრწვერა შორუ-
ცებიც იყვნენ.

მაგიდა სასადილო ოთახში გამავალ კართან დაედგათ.
დარბაზისაკენ ეზიგუა პირშექცეული იჯდა. დამსწრეთა-
გან ზოგნი ხელმარცხნივ საწოლზე ჩამომსხდარიყვნენ, ხო-
ლო ნაწილი კედლების ირგვლივ ჩაცუცეულიყო.

შესასვლელთან კუთხეში თოფები ეყუდა გროვად.

მხურვალე სიტყვა თქვა ეზიგუამ. იგი საშუალო ტანის,
ჩაცსკენილი ყმაწვილი იყო, შუბლზე შავი კულულები ჩა-
მოშლოდა.

— ასეთია, ამხანაგებო, ახლანდელი დრო. დღეს თუ
ხვალ იარაღით ხელში უნდა გამოვიდეთ. მოახლოედა დღე,
რომლის შესახვედრადაც ასე ვემზადებოდით. წითელმა
არმიამ სოჭა გამოიარა და ახლა აღბათ აფხაზეთშია. მაგ-
რამ ზუსტი ცნობები არ მიგვიღია ჯერჯერობით. აფხაზე-
თის რევუმის მოწოდებით დღეიდან რევოლუციურ კა-
ნონს უნდა დავემორჩილოთ. დღეს თუ ხვალ თამშიგუ ჩა-
მოვა (თამშიგუ ჟიბა პარტჯგუფის მდივანი იყო, რომელიც
რევუმში იყო წასული ახალი დავალების მისაღებად შემ-
დგომი მოქმედებისათვის, წავიდა და თავის ნაცვლად ეზი-
გუა დატოვა). ჩვენი ჯგუფი მუდამ მზად უნდა იყოს,
რათა საჭირო წუთში ორგანიზებულად შეგვეძლოს გამო-
სცლა მტრის წინააღმდეგ.

დაასრულა სათქმელი და შემდეგი სიტყვა შიმას მისცა
ეზიგუამ.

ფართოსახიანი, ლამაზი ყმაწვილი წამოდგა და ის

ცყო, სიტყვის დაწყებას აპირებდა, რომ გუშაგმა იატაკის სისახლით იქნადან. ფიცარს რამდენიმეჯერ დაპყრა ქვევიდან.

იქ მყოფთ საფრთხე შეიცნეს.

უმაღლ წამოცვივლნენ ფეხზე და იარაღს ეცნენ.

წამომხტარმა ეზიგუამ კარში გაიხედა.

სიბნელეში კიბეზე ამომავალი კაცი შეამჩნია.

— რომელი ხარ? — იკითხა მკვახედ.

— მე ვარ ნიკო ბერაძე, სიმა მოვიყვანე. — უპასუხა კიბეზე ამომავალმა.

სიმას ჯუნესის მეტი ეზიგუას აღარაფერი ესმოდა.

— რა მოსდა?

იგი სწრაფად მიეჭრა დას.

სახლიდან ხმაურით დაიწყეს გამოსვლა.

სინათლის ზოლი გაიძაბა ეზოში.

— ჩააქრეთ სინათლე, საქმე ცუდად არის, გარშემორტყმული ხართ, — განაცხადა ნიკომ.

— ჩქარა მიიღეთ საჭირო ზომები, ჩქარა, ჩქარა! — სიმას კვნესაში გაისმა ეს სიტყვები.

ეზიგუა ღელავდა, არ იცოდა, რა ექნა. უცნაურად ეჩვენა თავისი დისა და ჯარისკაც ნიკოს მოსვლა. სად შეხვდნენ ისინი ერთმანეთს? და კითხვაც ვერ მოასწრო, ძლივს გასაგონი სიტყვები ჩაესმა: — „ოქვენ ალაუშემორტყმულნი ხართ, მიიღეთ საჭირო ზომები“. გული თითქოს სადგოსით გაუხვრიტესო.

გლეხებმა მაშინვე გახსნეს რევოლვერის ბუდეები, ნაწილი კედელთან მიყუდებულ თოვებს მივარდა.

სანამ ნიკო უამბობდა, ეზიგუა მიხვდა, რომ ამ კაცს, რომელიც დღემდე მენშევიკური მთავრობის ჯარისკაცი



იყო, გადამწევეტ წუთებში თავისი ნაწილი მიეტუჭირდა და მათთან მოსულიყო. მან უკვე შეასრულა პარტიის დავალება.

დიდი ხნიდან ითვლებოდა ნიკო პარტიის რიგებში, იგი სარაიონო ქალაქში ცხოვრობდა. როდესაც ჯარში გამოუძახეს, უყოფანოდ წავიდა და საჭირო დავალებაც მიიღო პარტიისაგან. რამდენიმე ხნით საქართველოს სხვა რაიონში იმყოფებოდა თავის ნაწილთან ერთად. ხოლო როდესაც აფხაზეთის დასავლეთ საზღვარზე წითელი არმიის შემოსვლის საფრთხე შეიქმნა, აქეთ, მშობლიურ მხარეში გადმოისროლეს. მან უკვე შეასრულა იატაკებები მომუშავე თავისი სარაიონო პარტიული ჯგუფის დავალება.

როდესაც სიმასთან ერთად ადიოდა კიბეზე, ეჩევენებოდა, თითქოს საკუთარ ოჯახში შედიოდა.

ეზიგუამ თავისი და ხელში აიყვანა და საწოლზე დააწვინა. მერე გასცა განკარგულება, ადგილები დაეკავებინათ და გამაგრებულიყვნენ.

სახლი მხოლოდ ერთი უძლური მოხუცის ამარა დარჩა, რომელიც სიბერეს ისე მოეხარა, კუზიანი გეგონებოდათ. ცეხებს ძლივს ადგამდა.

ექვემდებარებული მიიღოს თუ არა დავალება, საჩქაროდ ჩაირბინეს კიბე და სიბნელეს შეერივნენ.

ნიკო რამდენიმე კაცით ჩასაფრდა მდინარის პირას გამავალ გზასთან ალანდულ ძველ კოშკში. ერებანე მყოფთა ერთი ნაწილი ჯგუფად მოეფარა ბუჩქებს, ხოლო დანარჩენებმა მდინარის ნაპირი დაიჭირეს.

ეზიგუას სურდა ერთ წუთს მაინც დალაპარაკებოდა დას და გაეგო რა მოხდა. მაგიდაზე ბრჭყვინავდა ოფიც-

რისთვის წართმეული რევოლუციერი, დაჭრილი სიმა კი იწიპალიკობა ვა მარჯვენა გვერდზე და ვერ განძრეულიყო. აუტანელი ცყო ტკივილი, მაგრამ იგი უსიტყვოდ იტანდა ყოველივეს.

ეზიგუა დაეშვა მის წინ მუხლებზე, ცხვირსახოცით მოსწმინდა სახეზე სისხლი და აწეწილი თმა თითებით გა-დაუგარცხნა.

— რა იყო? რა მოხდა, სიმა? — ეკითხებოდა თვალ-ცრემლიანი.

სიმა შეირხა და დაღლილი თვალებით შეხედა ძმას.

— რა დაგემართა, რატომ ზიხარ ჩემთან, მითხარი, თავს ხომ არ დაგვესხნენ? — ჩაილაპარაკა მისუსტებული ხმით.

ეზიგუა სასწრაფოდ წამოხტა, და მოხუცს ჩააბარა და გარეთ გავიდა.

ეზიგუა ჯერ კიდევ სიჩუმე იდგა.

ეზიგუა მივიდა სახლის ირგვლივ ჩასაფრებულ ამხანა-გებთან. ბუჩქების მხრიდან თავდასხმა საშიში არ იყო. უფრო აფიქრებდა გზის პირას მდებარე ძველისძველი კოშკი, სადაც ნიკო იყო გამაგრებული. მაგრამ თუ მტერი ამ შერიდან მოვიდოდა, ნიკოს დიდი იმედი ჰქონდა, ბერაძე ნაცადი ჯარისკაცი იყო და შეძლებდა თავის ჯგუფს გას-ძლოლოდა.

ეზიგუა ამოეფარა გზის აქეთ, ღობის ძირას დაგდე-ბულ მორს. აქედან შეეძლო ეთვალთვალა ამბებისათვის.

წყნარი ღამე იყო.

მოხუცი სიმასთან იჯდა და დროდადრო მწარედ ოხ-რავდა. მისჩერებოდა დაჭრილის სახეს და შემკრთალი გვერდზე იხედებოდა, არ ავიწყდებოდა მოსალოდნელი



ეროვნული
მინისტრი

საფრთხე. მოხუცს მცირე რამ გაეგებოდა ქირურგიჩის და შეეძლო დახმარების აღმოჩენა, მაგრამ ასეთ დროს იგი უძლური იყო.

სიმას ლოყები კვლავ ბროწეულივით უღვიოდა, ტუ-
ჩიები გაფითრებოდა. ლამპის მკრთალ შუქზე მარმარილო-
საგან გამოქანდაკებულს ჰგავდა.

მოხუცმა შეხედა ავადმყოფს, ამოიოხრა და წამოდგა.
სურდა გაეგო საიდან და როგორ აღმოჩნდა ასეთ ყოფაში,
მაგრამ სანამ სიტყვას დასძრავდა, ქალი წამოიწია, თვა-
ლი გაახილა და განუცხადა:

— არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ ტკიცილმა
ისე მომიმატა, უეჭველად მომკლავს. თუ მეორე ოთახში
არის ქალის ტანსაცმელი, მომიტანეთ, უნდა ჩავიცვა.

— როგორ არა, ახლავე მოგიტან, შვილო! — გაიხარა
მოხუცმა.

შევიდა ოთახში. დარაბები დახურა, ლამპას ჩაუწია,
გამოიტანა ტანსაცმელი და ახლოს დაუწყო.

— ახლა ძალიან გთხოვთ, ცოტა ხანს იმ ითახვით გახ-
ვიდეთ.

მოხუცმა ლამპა საწოლთან დადგა და უკანვე გაპ-
რუნდა.

სიმა ძლივძლივობით წამოჯდა და დიდი წვალებით
გადაიცვა კაბასთან ერთად მამაკაცის შალის სათბური.

მოხუცი ისევ შემოვიდა. ეტყობოდა, მასაც შესცვანო-
და, პალტოს საყელო აეწია.

— შენი ჭირი შემეყაროს, შვილო, გამოიცვალე ტანსა-
ცმელი? როგორა გრძნობ თავს? — ჰკითხა მოხუცმა.

— უკეთ. — სიმას გამოხედვაში გამოცოცხლება იგრ-
ძნობილა.

— ნუ გეშინია, გათენებისას წამალს გავაკეთებ და მა-
ლე გამოჯანმრთელდები, — ანუგეშა მოხუცმა.

ახლა გაახსენდა ქალს, რომ ოდესლაც გაეგონა ამ მო-
ხუცე: ჭრილობის განკურნება შეუძლიაო.

ოფიცერთან ბრძოლის დროს დაიჭრა სიმა. იგი ზურ-
გით დაეცა იატაკზე დაყრილ გრაფინისა და ლამპის ნამს-
ხვრევებზე. ამავე დროს არაჩვეულებრივი მოქნილობითა
და მოხერხებით ააძრო რევოლვერი მოწინააღმდეგეს და
გადამწყვეტ წუთებში ესროლა მხოლოდ გვიან შეიგრძნო
აუტანელი ტკივილი თავისი ჭრილობისა.

როგორც კი გამოვარდა სახლიდან, შემოხვდა ნიკოსა
და იმ ჯარისკაცს, რომელიც მერე ოფიცერმა მოკლა. საბ-
რალომ ტკემლე მიაცილა სიმა, ნიკოს ჩაბარა და თვითონ
უკანვე გაბრუნდა.

ვზაზე სიმას ჭრილობიდან სისხლმა დაუწყო დენა და
ცხეთი ტკივილები დაეწყო. ეგონა, მთელ ზურგზე ცეცხლი
მიკიდიაო. დასუსტდა და ძლივსლა სუნთქვავდა.

როდესაც მდინარესთან მივიდნენ, ნიკომ ხელში აიყ-
ვანა დაჭრილი და დანიშნულ ადგილამდე მალე მიაღწიეს.



ბნელსა და წყნარ ღამეში უეცრად გაისმა ბათქი და
ქალს ფიქრი შეაწყვეტინა. სროლის ხმა მხოლოდ ერთი
მხრიდან ისმოდა.

უცნაური იყო, რომ მტერი იქიდან დაესხათ, საიდანაც
არ მოელოდნენ.

ეჭვი არ იყო, ასეთ საშინელ ღამეს გაუვალ ტურმა
მტრის რაზმი გამცემმა გამოატარა.

პირველ გასროლაზე რომელიღაც ფანჯარა ჩაიმსხვრა
და საქათმეში ქათმები ისე აკრიახ-ააფართხუნა, თითქოს
ქორი დასცემოდეთ თავზე. ტყვია ქანდარაზე მდგარ მა-
მალს მოხვდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სროლა შეწყდა.

მორს უკან ჩამჯდარ ეზიგუას სროლის შეწყვეტისთანა-
ვე გაახსენდა, რომ შესაძლებელი იყო მოწინააღმდეგეთა-
გან ვინმე მიცოცებულიყო სახლთან და შიგ ყუმბარა შე-
ეგდო. გადაწყვიტა. შეერბინა ოთახში და გაეგო, რა
მდგომარეობაში იყვნენ ისინი, ვინც იქ დატოვა.

ის იყო წამოდგა და გაცოცება დააპირა, რომ ხელმე-
ორედ ატყდა სროლა. ახლა უკვე კოშკის მხრიდან ისრო-
დნენ. ახლოს ტყვიებმა დაიზუზუნეს.

ახლა დასავლეთიდან დაიქუხეს თოფებმა და გარდა
ღლატისა, ყველა მხარე მოიცვა ბათქაბუთქმა.

შორეულ ბუჩქებში ვიღაცამ დაიკვნესა, მაგრამ ეს მა-
ინც არ ნიშნავდა, რომ სიკვდილი უკვე ჩამოდგა.

მალე ისევ მიყუჩდა სროლა და სიჩქმე გამეფდა, მხო-
ლოდ მდინარის შხული არღვევდა მდუმარებას.

მოშორებით, დასავლეთიდან, ვიღაცის ხმა გაისმა:

— დაყარეთ იარაღი და დაგვნებდით, თუ გინდათ, რომ
ცოცხლები დარჩეთ. თორემ ვერც ერთი ვერ გადაგვირჩე-
ბით.

მტრის წინადადებას არავინ გამოხმაურებია.

გავიდა ერთი წუთი... ორი...

კიდევ გაიმორეს მოთხოვნა.



ისევ დუმილით უპასუხეს მას.

რამდენიმე ხნის შემდეგ სახლის უკან მდებარე ბოსტა განვითარების ხმა. ნაბერწყლები და გაისმა აფეთქების ხმა. ერთი ნახტომით გადაევლო მორს, წელში მოხრილი გაიქცა და შეუმჩნევლად აცოცდა კიბეზე.

ეზიგუამ იცოდა, რომ ბოსტანში თავისიანი არავინ იყო, ამიტომ არც შეფიქრიანებულა.

ყუმბარებს არავითარი ზიანი არ მოუტანიათ, მაგრამ ეზიგუა ახლა სახლში მყოფი სიმას ბედმა შეაძრწუნა. ერთი ნახტომით გადაევლო მორს, წელში მოხრილი გაიქცა და შეუმჩნევლად აცოცდა კიბეზე.

მალე შორიახლოს კიდევ ერთი ყუმბარა გასკდა. იგი მტერს სახლის ფანჯრიდან ესროლეს.

— სიმა, სიმა, — ეზიგუა მივარდა იმ ადგილს, სადაც თავისი და დატოვა.

— სიმა წავიდა, შვილო, მაგრამ, არ ვიცი, სად, — უთხრა თვალცრუმლიანმა მოხუცმა.

— დიდი ხანია, რაც წავიდა?

— დიდი ხანია წასვლა უნდოდა, მაგრამ მე არ გავუშვი. მხოლოდ შენი მოსვლის წინ გაიქცა... თან რევოლვერი წაიღო.

ეზიგუა სწრაფად გაბრუნდა უკან.

სანამ თავის ადგილზე მივიდოდა, მანამდე გადაწყვიტა სახლქვეშ შეეხედა.

საძირკველთან სიმა იდგა და ისროდა.

— უფრო ახლოს მიდი საძირკველთან, ჩქარა! — დაუყვირა ეზიგუამ.

ამ წუთს, განუწყვეტლივ მყეფარე ძაღლმა რამდენიმე ჯერ დაიწყმუტუნა, დაეცა, ამოიხრიალა და ფეხები გაჭიმა.



სროლა არც ერთი მხრიდან არ შეწყვეტილა.
უეცრად ნიკომ მოირჩინა.

— როგორ არის ვაზნების საქმე, გვაქვს კიდევ, ეზი-
გუა? — უჩირჩულა ყურში.

— ვაზნები ოთახშია. ბომბი ხუთი გვერნდა, ერთი
ვესროლე, ოთხი გამოვიტანე და აქვე აწყვია. — შემდევ
სიმას მიუბრუნდა, — რატომ გამოხვედი გარეთ? თავს
როგორა გრძნობ?

— არა მიშავს რა, უკვე გამოვკეთდი.

— გამოკეთდა... ჩემს ნებადაურთველად... დაიშალე ამ
წუთში! — მკვახედ უთხრა დას.

— კარგი, დავიმალები, მხოლოდ ჯერ არა.

ეზიგუამ იცოდა დის ხასიათი და ამიტომ არ შეკამათე-
ბია, არც დრო იყო ამისა.

— აპა, ყუმბარები და, თუ შეგიძლია, გამოიყენე. მე
ერთ ადგილას უნდა წავიდე სასწრაფოდ და მალე დავ-
ბრუნდები.

ორი ყუმბარა გადასცა დას.

— სად მიხვალ, სად ამ ქვეყნის დაქცევაში! — უყვირა
სიმამ ძმას, ამ ყვირილში მუდარაც გაისმა.

ბუჩქებში აქა-იქ კვლავ ისმოდა სროლა.

ეზიგუამ სასწრაფოდ გაუცალა ზედა ტანსაცმელი ნი-
კოს და მიწას გაკრული ფლატის თავზე გაცოცდა... მას
უნდოდა მტრის რკალი გაერღვია.

ნიკომ ჩამოიკიდა ბომბები და თავის ამხანაგებთან
დაბრუნდა.

და ის, რაც ამის შემდევ მოხდა, აღმოჩნდა მთავარი და
საფუძვლიანი. რაც აქამდე იყო, მხოლოდ თამაშად მოგეჩ-
ვენებოდათ მასთან შედარებით.

სოფელში, ვისაც შეეძლო და არ შეეძლო, ყველამ აიღო იარაღი და ისეთი სროლა ატეხეს, რომ ზაოშისა და გუგუნის მეტი არა ისმოდა რა.

მთელი სოფელი დიდით-პატარამდე შეინძრა, აიღო გა-
დამალული თოფი და გაჩაღდა გამანადგურებელი ბრძოლა.

ყველამ ისურვა ერთად წასულიყვნენ პირდაპირ ჩაგუს სახლისაკენ, ალეა შემოერტყათ მისთვის და არც ერთი მომხდური ცოცხალი არ გაეშვათ.

მტერმა გაიგო მათი განზრახვა და სულით დაეცა.

დადუმდა აქამდე დაუდუმარი მათი შაშხანა. შეწყვი-
ტეს სროლა, დაყარეს იარაღი და მოკურცხლეს.

მხოლოდ ბუჩქებში ისმოდა დროდადრო კვნესა და ოხ-
ვრა. ეს იყო მომხდეურთა რაზმის ჯარისკაცი, რომელიც
თავისმა ამხანაგებმა მიატოვეს დაჭრილი და თვითონ თავს
უშველეს.

რამდენიმე კაცს ნიკო და შიმუ გადაეწვინათ მკლავებ-
ზე და კიბეზე აპყავდათ. მათ უკან ორი სხვა მისდევდა
კოჭლობით.

ნიკოს მხარი ამოვარდნოდა, ხოლო შიმუს ქუსლი გახ-
ურეტოდა ტყვიით. ორივე მაშინვე დააწვინეს დარბაზში.
სხვების ჭრილობები მსუბუქი იყო. ისინი კოჭლობით და-
დიოდნენ და დროდადრო ჩამოსხდებოდნენ.

სიმა ახლა უკვე ოთახში იყო. თუმცა ძლიერი ტკივილე-
ბი ჰქონდა, მისი კვნესა არავის გაუგონია. იგი წყნარად
გავიდა მეორე ოთახში, იპოვნა ზეწარი. დადო მავიდაზე
და მაკრატლით სამად გაჭრა. დაუძახა მოხუცს და მისი
დახმარებით ნაჭრით თვითონვე შეიხვია ზურგი და ბეჭე-



ბი. შემდეგ წყლით მობანა შიმუს და სხვებს ჭრილობით
და ისე შეუხვია, რომ სისხლს ხელახლა არ დაეწყო დენა.
აი, აქ გამოადგა მოხუცის გამოცდილება. სროლის შეწყვე-
ტის შემდეგ მოხუცი გამხნევდა, უშიშრად და გულდამ-
შვიდებით ეხმარებოდა სიმას.

როგორც კი დაიწყო ქალმა მოძრაობა და სიარული,
სისხლმა პვლავ დაუწყო დენა ჭრილობიდან, გაუეღინთა
ტანსაცმელი, ზედ დახვეულ ზეწარშიაც გამოატანა და
წითლად შეღება.

სოფლის შუაგულიდან ოდნავ მოაღწია გაურკვეველმა
ხმაურმა.

სახლის დამცველები არ განძრეულან. მათ ისევ თავთა-
ვიანთი ადგილები ეკაგათ, რადგან არ იცოდნენ, ახალს რას
ამზადებდა ალიონი.

გულხელდაკრეფილი დადიოდა დაჭრილების წინ სიმა.
იგი ჩიმად, უსიტყვოდ ტიროდა, ცრემლი ჩამოსდიოდა
ლაწვებზე.

რა დაემართა? თავის ჭრილობებს დასტიროდა, თუ იმ
დაჭრილებს, რომელნიც ახლა მის წინ იწვენენ?

არა, სიმას ახლა არც ერთი მათგანი არ აწუხებდა.
წუხდა ერთადერთ ძმაზე, რომელმაც ნიკოს ფარაჯა გადა-
იცვა და მტრის ალყის გარღვევა მოინდომა. რისოვის უნ-
დოდა ეს? ვისი იმედი ჰქონდა იქ? თუ აქამდე უცნებელია,
რატომ არ დაბრუნდა?

გათენდა.

მოღუშული და ცივი დღე იყო.

სიმა აივანზე გამოვიდა და გაწეწილი, დაბნეული და გაფიტრებული გაპყურებდა გზას.

წყნარად მივიდა პარმალთან და გაჩერდა. მათკენ რამ-დენიმე კაცისაგან შემდგარი ჯგუფი მოდიოდა.

წინამძღოლს უკან მოპყვებოდა კაცი, რომელსაც მთე-ლი სახე, გარდა თვალებისა, დაბანდული ჰქონდა, ხოლო მას ორი თოფშემართული მოსდევდა.

წინამძღოლი ეზიგუა იყო. სახედაბანდული — ოფიცე-რი ბესო შავგულიძე. იმ ორიდან, ოფიცერს რომ მოსდევ-დნენ უკან, ერთი რაზმელი იყო, ხოლო მეორე — წვერგა-ლპარსავი ჯარისკაცი, იგი ზომიერი ნაბიჯით მოდიოდა სა-ხეგაბრწყინებული.

როგორც კი სიმამ ძმა იცნო, მაშინვე გაუქრა ტკივილე-ბი. უნდოდა მის შესახვედრად გაქცეულიყო, მაგრამ პირ-ველი ნაბიჯის გადადგმისთანავე მიხვდა, რომ ამას ვერ შეძლებდა.

ეზიგუამ თვალი მოჰკრა დას, მიატოვა თავისიანები და მისკენ გაექანა.

— ცოცხალი ხარ, ძმაო, ცოცხალი! — გაიხარა სიმამ.

ეზიგუამ გაუცინა და უპასუხა:

— რა ტქმა უნდა, ცოცხალი ვარ, რა უნდა დამმარ-თოდა, შენ როგორდა ხარ? — გაკვირვებით შეხედა ეზი-გუამ და თვალი შეავლო მის შეხვეულ ზურგსა და ბეჭებს.

— არაფერია, არა მიშავს რა... — სიმამ მაშინვე იცნო ოფიცერი. თავი ისე ჰქონდა დახრილი, თითქოს სხვის კი-სერზე თოკით მიუბიათო. ოფიცერი გაჩერდა და სადღაც შორს დაიწყო ცქერა.

— გამცემო, ყოველგვარი სინდისი დაგიკარგავს!



შერწყმული

განვითარება

ცეცხლი დაკვესა თვალებიდან სიმამ.

— რა ამბავია, სიმა, ჩვენს ხალხს ცუდი ხომ არაფერი დამართნია? — ჰკითხა ეზიგუამ.

სანამ სიმა რამეს უპასუხებდა, ძლიერი ხმაური მოისმა.

ეს ხმა მიემსგავსებოდა ღამით ატეხილ ჩოჩქოლს შუა სოფელში. იგი მდინარის იქითა მაღლობიდან მოდიოდა. გუგუნი თანდათან ახლოვდებოდა და ახლა უკვე აღტაცებული ხალხის ხმას გაარჩევდით.

— ეს რაღაა, ანაჯალბეით. — თქვა სიმამ, მის გატანჯულ სახეზე სიხარული აღიძესდა.

ყველამ იმ მხარეს დაიწყო ცეერა. გვერდით მდგომმა ოფიცერმაც ასწია თავი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტყიდან შაშხანებით შეიარაღებული ჯგუფი გამოვიდა და მდინარისაკენ სირბილით წამოვიდა.

ერთი დაჭრილი, რომელსაც ფეხზე დგომა და სიარულა კიდევ შეეძლო, მოაჯირს დაეყრდნო და დაეშვა კიბეზე. ის იყო აქამდე ოთახში მწოლი შიმუ. მან ხელი მოხვია მოაჯირის სვეტს და იქიდან დაუყუირა ეზოში მყოფ მეგობარს:

— მოგილოცავ ნადავლს, ეზიგუა!

— დაჭრილი ხარ? — სწრაფი ნაბიჯით გაემართა ეზიგუა მისკენ, მაგრამ მოწყვეტით შედგა, რადგან ამ წუთს სულ ახლოს გაისმა აღტაცებული შეძახილები.

— არ არის საჭირო ჩემთან მოსელა, მე თვითონ მოვალ მანდ. ნუთუ ვერ ხედავ, რომ განთიადი უკვე მოვიდა?

ეზიგუა შეჩერდა.

ოფიცერი შეაშფოთა ამ ხმამ და უფრო მეტი მღელვა—
 რება დაეტყო.

იდგნენ ჯარისკაცებიც, იცქირებოდნენ გზისკენ. მათ
 სახეზედაც ასახულიყო სიხარული. აიგანზე ნიკო გამოვი-
 და და შიმუს გვერდზე დადგა. შეხვეული მხარი უთრობოდა—
 და და შიმუს გვერდზე დადგა.

ძველი კოშკის გვერდზე გამავალი გზა ხალხით იყო გა-
 შედილი. ისინი აქეთ მოდიოდნენ. მათი ბოლო შორს, გზის
 მოსახვევში იყარებოდა. ერთმანეთში არეულიყვნენ ქალე-
 ბი, ბალები, ჭაბუკები და მოხუცნი. უმეტესობას იარაღი
 ეჭირა ხელში, ხოლო ვისაც ვერ ეშოვნა, მათ ნაჯახები, კე-
 ტები, ცელები და ფოცხები წამოეღოთ.

სახლის უკან ტყის მხარეს ჩასაფრებულებმა, მოპერეს-
 თუ არა ყური ხმაურს და ხალხიც დაინახეს, წამოხტნენ და
 სახლისაკენ გამოემართნენ.

აქამდე დაცარიელებული ეზო და შემოგარენი ხალხით
 გაივსო. ვისაც კი შეეძლო, სირბილით გაექანა მათ შესახ-
 ვიდრად.

როგორც ფუტკრის გუნდი, ისე შემოეხვივნენ ირგვლივ
 ერთს, წინ მომავალს, რომელსაც აქამდე კარგად ვერ ხე-
 დავდა პარმალთან მდგარი ნიკოც კი.

აი, ეზოშიც შემოვიდნენ და იცნეს ხალხით გარშემოხ-
 ვიული.

ეს იყო თამშიგუ. ორივე ხელში ბავშვები ეჭირა — ბი-
 ჭი და გოგო. ბავშვები ჩიტებივით ეჟღურტულებოდნენ და
 უცინოდნენ. შვენოდა ჩერქეზული ჩოხა, მკერდზე თეთრი
 მასრები, თავზე წაბლისფერი ფაფახი და წელზე შევერცხ-
 ლილი ხანჯალი, არავის აღძვრია შური, რომ ესოდენ
 ლამაზი ჩანდა.



შუა ეზოში შედგა და ფაფახი მოიძრო, რომესამარტინ
წარმოეთქვა.

ყველას თვალი მის გაბრწყინებულ სახეზე და კოხტად
გადავარცხნილ შავ თმაზე შეჩერდა. სიამოვნებით შესცეკე-
როდა ზღვა ხალხი.

თამშიგუმ დაიწყო:

— ძმებო, ჩემო მეგობრებო! როგორც იცით, რუსეთის
პუშებმა და გლეხებმა მოახდინეს რევოლუცია 1917 წელს,
ლქტომბერში და თავისუფლება მოიპოვეს. მას შემდეგ გან-
თავისუფლებული რუსეთის მიწაზე ხალხი თავისუფლად
ცხოვრობს, ჩვენ კი მენშევიური მთავრობის გამცემლური
მოქმედებით ისევე უუფლებონი და უვიცნი დავრჩით, რო-
გორც მეფის დროს ვიყავით. ყველაფერს თავისი დრო აქვს.
დღეს დადგა აღსასრული ამ შავი დროისა.

ხალხს ტალღად გადაუარა გუგუმა.

— წითელმა არმიამ სოხუმი აიღო და ახლა კოდორის
გზით მოდის, საქართველოდან მომავალ წითელ ნაწილებ-
იან შესაერთებლად. მე ოჩამჩირებული მოვდიგარ. იქ უკვე
შევიდნენ ჩვენი მეგობრები — პარტიზანები, რომელთაც
ლეუა კაპა ხელმძღვანელობს.

გაუმარჯოს ჩვენს გამანთავისუფლებელ წითელ არ-
მიას!

გაუმარჯოს ლენის!

თამშიგუმ ამოიღო მთელი შეკვრა ფურცლებისა, რომ-
ლებსაც ხელს აწერდნენ აფხაზეთის რევკომის წევრები.
ფურცლები იუწყებოდნენ, რომ აფხაზეთში დამყარდა საბ-
ჭოთა ხელისუფლება.

პაერი აღტაცების შეძახილებითა და ყიუინით აიგსო.

— ვაშა! — ყვიროდა ხალხი.

ამ შეძახილს იმეორებდნენ მთები, ხეობები, ტყეები, მინდვრები.

მაღლა ისროდნენ ქუდებსა და ჩაბალახებს, ეხვეოდნენ ერთმანეთს, კოცნილნენ. ასეთი აღტაცება არასდროს ენახა გატანჯული აფხაზეთის მიწას.

სიმა მთლად ცრემლად გაღვრილიყო, იგი სიხარული-საგან ტიროდა.

— გმადლობთ ასეთი გმირობისათვის, მეგობრებო, — იძახოდა იგი და ყველას ულოცავდა დიდ დღეს. ასეთივე მადლობა გადაუხადა მან დაჭრილებსაც.

იგი სახლს უკან გაიყვანეს.

ბოსტანს იქით წითელჩაბალახიანი მოკლული გან-რთხმულიყო მიწაზე.

ეს გახლდათ მოღალატე და გამცემი ესლამი. იგი მდი-დარი კაცი იყო, ეზიგუას მახლობლად ცხოვრობდა. მენ-შევიური ხელისუფლების მომხრე ესლამი გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით, მაგრამ ყოველთვის ხალხის საწინა-აღმდეგოდ ქადაგებდა. მისი კარი ღია იყო დიდ-დიდი ოფი-ციალური პირებისათვის.

ბუჩქებში, სადაც მტრები იყვნენ ჩასაფრებულნი, აქა-რქ შეიმჩნეოდა სისხლის გუბეები, ეტყობოდა, მტერს ზა-რალი განეცადა. არავინ იცოდა, სად გაქრნენ ისინი. არც არავინ დასდევნებია.

თამშიგუმ რამდენიმე ახალგაზრდას დაავალა, მოკლუ-ლი სახლში წაეღოთ.

ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, ღრუბლები თანდათან

უფერულდებოდნენ და ქრებოდნენ. მალე მზიშ უცნებელობა
მთებზე გადმოიღვარა.

ყველა ერთად გაემართა სოფლის კანცელარიისაკენ.
თან დაჭრილები და ტყვე ოფიცერი წაიყვანეს.

გუგუნებდა არმიული სიმღერა.

აღტაცებული ეგებებოდა ხალხი დიდ დღეს.

„ისეთი რა მოხდა?“

პახარანი შინ ბრუნდე-
ბოდა. საღამო ჟამი
იყო. ტყის პირას თავი-

სი ნაცრისფერი ჭაკი და ტანტენარი ფაშატი შენიშნა. მა-
ხარანი მათთან მიიჭრა და გინებით შინისკენ გარეკა.

— რას ერჩი ამ საწყალ ცხენს? — მოესმა სიბნელეში
ბუღალტერ ჩიგუნას ნაცნობი ხმა, — ან ამ კვიცმა რა დაგი-
შავა?

— რას ვერჩი და მგელი შეჭამს ორივეს. შინ მოსვლა
ვერ ვასწავლე ამ ტიალებს! — შეპყვირა მახარანმა. — მოე-
ცი დღე ვმუშაობ და ახლა ამათ სდიე!

— საღამო მშვიდობისა! — გზა მოუჭრა ჩიგუნამ.

— გაგიმარჯოს! — მიუგო მახარანმა და მეზობელს
ზელი გაუწოდა.

— აგაშენა ღმერთმა, რომ აქ შემხვდი, თორცმ შენს
სახლამდე კიდევ საკმაო გზაა, შენთან თამშიგუმ გამომი-
ზავნა, კანტორაში მოვიდესო... საჩქაროდ!

— საჩქაროდ? ისეთი რა მოხდა, ან შენ რატომ შეგა-
წუხა, უფრო ახალგაზრდა არავინ იყო?

— სასწრაფო საქმეა, მე იმიტომ გამომგზავნა, რომ
უსათუოდ წამომყევე!..

— მაინც რა მოხდა?

— არ ვიცი.

— შე დალოცვილო, ჯერ შინ მისვლაც ვერ მოვასწა-
რი და უკანვე მიხმობს?! თუ საქმე პქონდა, ფარდულში
დაეძახა, გვერდით არ იყო? — ხელი ჩაიქნია მახარანმა,
შოლტი გადაუჭირა ჭაკს და ნაწყენი, გაბზარული ხმით
შეუძახა:

— აჩუ, შე ყორნის კერძო! — მერე უკან არც მოუხე-
დავს, ისე მიუგო მეზობელს: — თამშიგუს თუ მართლა
საჩქარო საქმე აქვს, კეთილ ინებოს და თვითონ მობრძან-
დეს ჩემთან, შინ დავუხვდები...

— კაცო!.. ჭკუიდან ხომ არ შეიშალე? როდის იყო,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე საქმეზე ბრიგადირთან შინ
მიდიოდა... — ძუნძულით ფეხდაფეხ მიჰყვა ტანმორჩილი
ჩგუნა. — ის უფროსია, შენ უმცროსი, ვინ ვის უნდა ეახ-
ლოს? კაცი გეძახის, სჭირდები, შენ კი, აქეთ მოვიდესო,
ეგ რა პასუხია?..

— არ წავალ! მორჩა და გათავდა! — მახარანმა ჭაკს
ფაფარზე შეავლო ხელი, ზედ მოევლო და შინისკენ გაათო-
ხარიკა...

გაოცებული ჩგუნა წუთით შედგა გზაზე, შემდეგ კი
რაც მუხლში ძალა და ორნე პქონდა, სირბილით მოუსვა,
ბრიგადირს წამოეწია, ნაბიჯი გაუსწორა და ჯერ ხუმრობა
სცადა:

— კაცო! ცხენს რაღას ემდუროდი, კარგად მიჰყავ-
ხარ!.. ერთი აქეთ მოიხედე, მართლა რა ვუთხრა იმ ადამი-

ანს? ხომ იცი, რაიონიდან დაურეკეს, დილით თათბირი აქვთ, რაღაც ცნობაზე უნდა მოუწერო ხელი, იმაზე გიბარებს...

მხედარმა გადაიხარხარა და ახლა ჩორთით წავიდა:

— კარგი, კარგი! ჩემო ჩგუნა, შენთან უკაცრავად ვარ, ღამე მშვიდობისა, თუ რამე საქმე აქვს, აკი გითხარი, თვითონ მობრძანდეს ჩემთან, შინ დავუხვდები...

•

კანტორა მწვანეში იყო ჩაფლული. ბოძზე რეპროდუქტორი ეყიდა, ისმოდა ქალის სიმღერა და ფანდურის ღულუნი, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, თამშიგუს, ამ საღამოს გაუსაპნავი ურმის უსიამო ჭრიალივით ჩაესმოდა ყურში. ღია ფანჯარასთან სამუშაო მაგიდას უჯდა და თვალმოკუსული ჩაჰურებდა წითელი ფანქრით გადახაზულ-გადმოხაზულ ფურცელს. ელექტრონათურა მელოტი თავზე დაპნათოდა. ეტყობოდა, ძალიან ნერვიულობდა, ისე წარამარა იგრეხდა მაღლა აწყებილ ულვაშს.

ჩგუნა ფრთხილად შემოვიდა კაბინეტში და, უფროსის თვის ხელი რომ არ შეეშალა, ფეხაკრეიით გაემართა თავის სი მაგიდისაკენ. როგორც კი ჩგუნა სკამზე უხმოდ და მორიცებულად დაეშვა, თავმჯდომარემ თავი ასწია და რიხიანად ჰყითხა:

— ნახე?

— კი, ბატონო, როგორ არა, ვნახე!

— მერე რა გითხრა?

ჩგუნას ხმა ჩაუწყდა, ენა ვეღარ მოაბრუნა:



— ჰმ!.. ისაო.. — აღმოხდა შემკრთალს, — აჟღავნება
შოვალო, ბატონო... შინ მიგალ და ამ წუთში თქვენთვის გაფ-
ჩინდებაო... უსათუოდ გეახლებათ!.. — შეფოცებულმა ჩგუ-
ნამ სიმართლის თქმა უფროსს ერთბაშად ვერ შეუბედა.

— ამ წუთშიო? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა თამ-
შიგუმ. — ჰმ! დაჯექი ახლა და უცადე! თან რატომ არ წა-
მოიყვანე?

— არ წამოვიდა, ბატონო! არაფრით არ წამოვიდა!..

— როგორ თუ არ წამოვიდა? — ისე მრისხანედ ჩაჭ-
კითხა თავმჯდომარემ, რომ ჩგუნას სათქმელი კვლავ გა-
უწყდა.

— ჰმ! ისაო... თავის ჭაკზე იჯდა... ახლავე გეახლებათ,
აკი გითხარით, მხოლოდ ვერ შინ მიგა... დიაბ!..

თავმჯდომარე წამოდგა, ღია ფანჯარასთან წუთით
შედგა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გახედა, თითქოს იქ
რაღაცის ამოკითხვა სურსო, შემდეგ შემოტრიალდა და
აავდახრილ ჩგუნას შეუტია:

— ანგარიში რატომ არ შეადგინე? დაამთავრე, რას
უცდი?

— როდის უნდა დამემთავრებინა? — უკმაყოფილოდ
თავისითვის ჩაილაპარაკა ჩგუნამ. უნდოდა ეთქვა: „მახარა-
ნი არ იყო, ხელი ვის უნდა მოეწერაო“, — მაგრამ რა სა-
შირო იყო, თავმჯდომარემ ისედაც იცოდა ყველაფერი.

— დაწერე! — დაუყვავა თამშიგუმ.

ჩგუნამ უგულოდ შეხედა თავმჯდომარეს, შემდეგ ნელა
აიღო ქაღალდის ფურცელი, უგულოდ მონახა გრაფა —
„თამბაქოს შეტეხვა“ და დიდხანს უმიზნებდა მას მომარ-
ჯებულ კალამს (როგორც დალაქი სამართებელს შეაჩე-

რებს ხოლმე ჭირვეული კლიენტის გაქაფულ თავზე) და
მაინც ციფრის ჩაწერა ვერ გაძელა. უკანასკნელ წუთს დამ-
დუღრულივით ხელი უკან გამოსწია.

— მიკარნახეთ, ბატონო, რა ჩავწერო? იქნებ მახარანს
დავუცადოთ, იმან უკეთ იცის. ბრიგადაშ გეგმა როგორ შე-
ასრულა.

— შენ ისე დაწერე, რომ ცნობის გაგზავნა შეიძლებო-
დეს რაიონში, გაიგე? ამაზე მე ვაგებ პასუხს და არა შენ!
მოდი, დაწერე და მახარანი რომ მოვა, ხელს მე მოვაწერი-
ნებ.

ჩგუნას სახე მოექცა. ნელა ჩააწო ცალამი მელანში და
მერე სულ ნელა, თითქოს წერას ახლა სწავლობსო, გრაფა
შეავსო. უცნაური იყო: ოკრობოკროდ გამოუციდა. მის კოხ-
ტა და ლამაზ ნაწერს სულაც არ ჰგავდა.

თავმჯდომარებ შვებით ამოისუნთქა.

— რატომ იგვიანებს მახარანი? იქნებ კარგად ვერ
აუხსენი, ვერ გააგებინე, რომ კანტორაში საჩქაროდ ვიბა-
რებ! ან იქნებ სულაც არ გინახავს!

— როგორ თუ არ მინახავს, როგორ თუ ვერ გავაგები-
ნე, — დიდად იწყინა ჩგუნამ. — იცით, რა თქვა?.. ეგრე
შემოგითვალათ, თუ რამე საქმე აქვს, აქეთ მობრძანდესო!
დიახ, დიახ! ასე თქვა, მხოლოდ მე ვერ გყადრეთ, თქვენ-
თვის ეგრე მომეხსენებინა...

— რაოთ? უყურე შენ! — შეჰქვირა გაცეცხლებულმა
თამშიგუმ, — რაო, როგორ თქვა?

— სიტყვასიტყვით ეგრე თქვა, აქეთ მოვიდესო... რამ-
დენჯერმე გამიმეორა კიდეც!.. მე მგონია, მიხვდა ის მელა-
დუღრული გამოცემა... ნამდვილად მიხვდა... მოდით,
ძუა, რატომაც იბარებდით... ნამდვილად მიხვდა...

თამშიგუ, მიცცეთ სწორი ცნობა, ნურც თავს მოვიტყუჩიდავთ
ნურც სხვებს ავუხვევთ თვალს, ეგრე აჯობებს, თორუქ ჯუ
გაგვიგეს, ხომ იცით, მაღლობას არ გვეტყვიან...

— ვერაფერს დაგვაკლებენ... დავაწევები ბრიგადებს,
გამოვასწორებთ, ავანაზღაურებთ, აღვადგენთ... შენ მიდი,
გააგრძელე, დაწერე, ნუ გეშინია, ჟველაფერი რიგზე იქ-
ნება.

— რაიონი რატომ უნდა მოვატყუოთ?.. — ჩაიბუზღუ-
ნა ჩიგუნამ.

— ეგ არაფერი! შენ ის მითხარი, იმ თავხედმა მართლა
თქვა, არ მოვალო?

— არ მოვალო! არც მოვა! მე კი დავწერ, მაგრამ ხელს
ვინ მოაწერს? ის ნამდვილად არ მოვა! თავი პატიოსან კა-
ცად მოაქვს და არ მოვა.

— ისე აუშენდა ოჯახი! თუ ეგეთი ბაჯაღლო ოქროა,
ერთ ბრიგადას რატომ ვერ მოუარა? მუშაობა მაგან ჩააფ-
ლავა და პასუხი მე უნდა ვაგო? არა! თავისი ნაგავი, რო-
გორც უნდა, თვითონ გახვეტოს. მე მის გამო რაიონში
თავს ვერ შევირცხევენ.

— ის კი ჟველაფერს თქვენ გაბრალებთ... მართლაც
ჯობია, ამ ცნობაზე ხელი უსათუოდ მოაწეროს... თორემ
მერე იქნებ გვიჩივლოს კიდეც! რაიონში იცნობენ, პატივს
ცემენ... საქმე უარესად წავა! ის ამ ცნობაზე არ მოგვი-
წერს ხელს.

— ხელს არ მომიწერს? — მუშტი ცხვირთან მიუტანა
ჩიგუნას თავმჯდომარემ, — იმასაც ვნახავ, როგორ არ მო-
მიწერს ხელს! შენ ცნობა გამიმზადე!

მახარანის ეზოში კაცი არ ჭაჭანებდა. ფანჯრებში წილი დიდი გადასაცვლა
ნათლე არ ჩანდა. ეტყობოდა, ეძინათ. თამშიგუ დიდი გადასაცვლა
იდგა ჩაკეტილ ჭიშკართან და იძახდა.

— ჰეი, ვინა ხარ მანდ! — გაისმა ბოლოს მახარანის
ხმა ოდის აივნიდან.

— მე ვარ თამშიგუ! ბოლიში შეწუხებისათვის, თუ შე-
იძლება, მომხედვე ერთ წუთს!..

— რა მოხდა, ბატონო?

— ისეთი არაფერი! ერთ წუთს თუ შეიძლება!

...მახარანი სინათლეზე დიდხანს დაპყურებდა ცნობას,
თან თვალებს იფშვნეტდა.

— ნუ გეშინია, ისეთი არაფერია, აი, აქ. ქვევით, მოა-
წერე ხელი!

— შენ კარგად იცი, ჩემო თამშიგუ, — ჩაილაპარაკა-
ბოლოს მახარანშა, — მე ჩემს დღეში ერთი კაცისთვისაც
არ მითქამს სიცრუე და მთელი საზოგადოება, ხალხი რო-
გორდა მოვატყუო? არა, ამას ვერ ვიზამ! ჩემი ამბავი ხომ
იცოდი, რატომ მოხვედი?

გაწილებულმა თამშიგუმ უკან დაიხია:

— აგისხნი, ძმობილო, როგორცაა საქმე. ხვალ თათ-
ბირია რაიონში. შენ იქ მოწინავე ბრიგადირად გიცნობენ.
მე ხომ არ მოგდგები და გინებას არ დაგიწყებ? პირიქით,
მინდა შეგაქო: აი, რა კარგი მაჩვენებელი აქვს-მეოქი...
შერე შენ იცი, შენებურად დააწვები საქმეს, ჩამორჩენას
როგორმე გამოასწორებ. ცუდი რაღაა ამაში? — უცებ ხმა-
ეცვალა თამშიგუს, — მარტო ჩვენები რომ იყვნენ, კიდევ
სხვაა, მაგრამ სტუმარი იქნება სოხუმიდან... უხერხულია!



— ეგ საკენკი შენს წიწილებს დაუყარე! სულ ერთხელ მაგ ანკესზე არ წამოვეგები. რატომ უნდა მაქო, როცა ღირსი არა ვარ. არა, ჯერ ჩამორჩენა გამოვასწოროთ, შემ-დეგ ვიამაყოთ და ვილაპარაკოთ! — თქვა მასარანმა, სა-თუთად გადაწერილი ქალალდი დახია, დაჭმულნა და განზე გადაისროლა.

— მოიცა, მოიცა! შენ ბრიგადის მუშაობა ჩაფუშე, მე რაღაც გამოსავალს ვპოულობ და კიდევ უარზე ხარ?

— მერე ვინაა დამნაშავე? შენ არ მოხსენი ბრიგადი-დან ოთხი კაცი და საკარმილამო ნაკვეთის მოსახნავად შინ არ წაიყვანე... ორიც სავაჭროდ ქალაქში გაუშვი, დღემდე უკან არ მობრუნებულან. იმედი მაქვს, შენთვის უსარგებ-ლოდ არ სხედან იქ... შე დალოცვილო, გეგმების შესრუ-ლებას მაინც ნუღარ მთხოვ!..

— ეს შენი საქმე არაა! — შეპყვირა თამშიგუმ, — თავ-მკდომარე მე ვარ და არა შენ, ხალხს სამუშაოზე მე ვანა-წილებ... სადაც მინდა, იქ გავუშვებ! დიახ, დი... ახხ!... — ამოიგმინა და ქალალდები სწრაფად ჩაალაგა პორტფელ-ში, — ვის სად გავუშვებ, რას გავაკეთებ, წინასწარ შენ შეგითანხმო? არაფერი ჭამო, სანამ ეს ნატვრა არ აისრუ-ლო. მე შენ გამო ვამბობდი, თორემ, აბა, რა მენაღვლება, თავში ქვა იხალე! ვეტყვი იმ პატიოსან ხალხს რაიონში, რა მოწინავეც შენა ბრძანდები და სხვა ბრიგადირს მოვნახავთ, საქმე ამით გათავდება...

თამშიგუმ კარი მიივახუნა და სიბნელეში გაქრა.

— ვაი, შენ დაგიტირე მაინცდამაინც! — დააწია კურ-თხვა მასპინძელმა.

სარაიონო თათბირის შემდეგ, მესამე დღეს, თამშიგუ თავის კაბინეტში იჯდა და გაშლილ გაზეთს ჩაჰყურებდა. ვერ გაიგებდით, კითხულობდა თუ რამეს ფიქრობდა.

კაბინეტში მახარანი შემოვიდა. თამშიგუ, ვითომც მათ შორის არაფერი მომხდარიყოს, სწრაფად წამოდგა და ბრიგადირს მხიარულად მიესალმა:

— ა-ა, გამარჯობა შენი! — ჯერ მიესალმა, მერე მხარზე ხელი დაპყრა, — შენ ყოველთვის ყოჩალი იყავი; მუყაითი... იმედია, მომავალშიც გაგვიმართლებ... მომილოცავი!..

განრისხებული მახარანი თვალს არ აშორებდა თავ-მჯდომარეს.

— პირდაპირ მითხარი, რას მილოცავ? — მოუჭრა ერთაგად გადაფიტრებულმა მახარანმა და მიმქრალი პაპიროსი მოქაჩა.

— როგორ თუ რას გილოცავ, ჩემო კარგო, განა გაზეთი არ წაიკითხე? — გადაშლილი გაზეთი ხელში შეაჩეჩა.

— წავიკითხე და იმიტომაც მოვედი, — ცივად მიუგო მახარანმა და ფანჯრისკენ შებრუნდა.

— მაშინ შენთვის გასაგები უნდა იყოს, რისი მოლოცვაც მინდოდა. ხომ ნახე, როგორ გაქებენ და გადიდებენ. არ გითხარა, ასე არ ჯობია? ახლა ხომ გიხარია? მხოლოდ უცადე, გაამართლო.

— მერე რატომ გვაქებენ? ხომ ყველაფერი სიცრუე წერია. ხალხი იცინის და უნდა მიხაროდეს? რაც აქ წერია,

შართალი რომ იყოს, როგორც წინა წლებში, მაშინ სულ
სხვაა...

— ერთი ამ წმინდანს შეხედეთ! — თამშიგუმ გაოცე-
ბისაგან მუშტი მაგიდაზე დაჰკრა.

— შენ მაგივრად სირცხვილით დავიწვოდი, ნეტა რა
გიხარია, შე საცოდავო!.. — ხელი ჩაიქნია მახარანმა და
უკან ისე ერთბაშად შებრუნდა, თითქოს კაბინეტში რაღაც
აუტანელ სიბილწესა და უწმინდურობას გადააწყდაო და
მაშინვე არეული ნაბიჯის კარისაკენ გაემართა.

— საღამოს შვიდ საათზე გამგეობის სხდომაზე მობრ-
ძანდი! რაკი ბრიგადის მუშაობა განზრას ჩაფუშე, უნდა
მოგესაუბროთ! — დააწია მუქარა კოლმეურნეობის თავ-
შედომარემ.

— მოვალ! — ხმამაღლა, მტკიცედ და დაქადნებით
შესძახა მახარანმა ისე, რომ უკან არ მოუხედავს... — იცო-
დე, სასიკეთოდ არ მოვალ!..

თამშიგუ მუხლმოკვეთილი ჩაეშვა სავარძელში და მზე-
რა ღია ფანჯრისკენ გააპარა. ეზოში ჩქარა მიაბიჯებდა
მახარანი. თავმჯდომარე დამარცხებული ფალავანივით
მწყრალი თვალებით გაპყურებდა მას და შემკრთალი თა-
ვისთვის ფიქრობდა: არა, ეგრე მაინც რატომ გაწიწმატდა,
ისეთი რა მოხდა?!

პარვალური თოფი

გ აზაფხულის თბილმა
შხაპუნამ გადაიარა.
ასეთი წვიმის შემდეგ

ბალახი უცბად ამოდის. ამწვანებულ ხეებს შორის თვალს
იტაცებს აყვავებული ალუჩა და ტყემალი. მზემ გამოიხე-
და. ცივი, ავდრიანი ზამთრისაგან განაწამები ადამიანები
და ცხოველები სიხარულით ეგებებიან გაზაფხულს.

ხიკურმა მიხურა ფაცხის კარი და ეზოში გამოვიდა.
წხარზე პატარა ბიჭი შეესვა, მეორე, ცოტათი უფროსი, კა-
ბის კალთაზე ჩაფრენოდა.

— ბავშვებო, აქ ითამაშეთ, მე კი ბოსტანში წავალ, —
თქვა ქალმა და ბიჭუნა მიწაზე ჩამოსვა.

ბიჭები მაშინვე თავდავიწყებით ჩაებნენ თამაშში.

ხიკურს წელი არ გაუმართავს, სანამ ღობემდე არ და-
ბარა მიწა. მერე კარდალში მოსახარშად ჩაყრილ ღობის
წყალი ჩაუმატა და ის იყო, უნდა ჩამომჯდარიყო, რომ
შეცრად შეამჩნია, კიბეს უახლოვდებოდა ახმახი, შავ ნა-
ბადმოხურული კაცი, თეთრი ყაბალახი თვალებამდე ჰქონ-



საქართველოს
მთავრობის

და ჩამოწეული. ეს ხაბიჯი იყო, ხიკურის დამხმარებელი
მფარველი. ქალი სტუმარს შეეგება. ხიკურმა მარჯვენა
ხელი დააქნია მის თავზე იმის ნიშნად, აქაოდა, ყველა შე-
ნი უბედურების მოზიარე ვიქნები ყოველთვისო და სტუ-
მარს აკოცა.

— როგორ ხარ, ხიკურ? ბავშვები ხომ ჯანმრთელად
არიან? — შეეკითხა ხაბიჯი. ქალს თვალი თვალში გაუყა-
რა და ხელი მხარზე დაადო.

— შეხედეთ, ვინ მოვიდა! — დაუძახა ხიკურმა ბავშ-
ვებს.

ისინი უკვე გამორბოდნენ. უფროსს, ჯანხვატს, იღლია-
ში გააფორებით მოფართხალე ლეპე ამოეჩარა.

— რა დიდებული ძაღლია! — თქვა სტუმარმა, უმც-
როსი ბიჭი მუხლზე დაისვა, ჯიბიდან ვერცხლის ბრჭყვია-
ლა ფული ამოიღო და გაუწოდა. პატარამ აღტაცებით შე-
ათამაშა ფული ხელში.

— შეხედე! — წკრიალა ხმით გასძახა მან ძმას, რო-
მელმაც ხელი ასწია და ძაღლი დააბერტყა ძირს.

— ახლოს მოდი, — უთხრა ხაბიჯმა უფროსს, როცა
შეატყო, ბიჭი შემკრთალიაო, ისიც დაისვა მეორე მუხლზე
და ფული აჩუქა.

— ეჲ, მამათქვენივით არავინ მყვარებია ჩემს სიცოცხ-
ლეში, — ამოიხრა ხაბიჯმა, — დმერთმა მისი დანაკლისი
დღი თქვენ შეგმატოთ.

ქმრის გახსენებაზე ხიკურის სახეს მწუხარების ჩრდი-
ლმა დაპკრა.



— რაღა მე გამწირა იმ დალოცვილმა ღმერთმა! —
სიმწრით წამოიძახა ქალმა.

— ჩამოჯექი, ხიკურ, რატომ დგახარ, მე ხომ სტუმა-
რი არ ვარ, — უთხრა ხაბიჯმა.

ხიკური მოშორებით დადგა. ხაბიჯმა კი განაგრძო:

— იმის გასაგებად მოვედი, რას აპირებთ, როგორ
ცცხოვრებთ. შარშან ვერ დაგეხმარე, მაგრამ ახლა, თესვის,
დროს, შენს მინდორზე აუცილებლად მოვიყვან კამეჩს.

— რამდენჯერ დამეხმარე, ჩემი სინათლეც. — უთხრა.
ხიკურმა და მადლობით სავსე თვალებით შეხედა ხა-
ბიჯს. — ქვეყანაზე კეთილი ადამიანებიც არიან. აი, გუში-
ნაც მოვიღწენ მეზობლები, მიწის მოხვნას დამპირდნენ.
ღმერთმა ნუ მომიშალოს მათი თავი. მაგათი წყალობით
იყო, შარშან რომ კარგი მოსავალი მოვიწიე.

— შემოდგომამდე კი გაიტან თავს?

— მე მგონი, ზამთრისათვისაც დამრჩება ცოტაოდენი.

— კარგია, თუ ასეა! — ურწმუნოდ გააქნია თავი ხა-
ბიჯმა.

ნელ-ნელა მოსალამოვდა.

ციბრუტივით ტრიალებდა ხიკური თავის პატარა ოჯახ-
ში. შეწვა ქათამი, მოამზადა ელარჯი. ვახშმად მეზობლებ-
ზაც შემოიარეს. ხაბიჯს ოჯახის უფროსივით ეჭირა თავი.
გაშელართული იჯდა და ჟველაფერს ლაყბობდა, რაც კი
თავში მოუვიდოდა წარსულსა და აწმყოზე, ნათესაურ ურ-
თიერთობაზე.

გლეხი იყო, მაგრამ თავისი შეძლებით ზოგიერთ თა-
ვადსა და აზნაურს არ ჩამორჩებოდა. მათთან მეგობრობა



ძალიან ადიდგულებდა. ყველამ იცოდა, თუ თავისტუმაშვილი რიდილს, თავად მსუსტის დაიფიცებდა, წყალი არ გაუვიდოდა. სახელოვანი, თავადური გვარის ხალხის გულის მოსაგებად თავს არ დაზოგავდა, თუმცა ზედ რომ გადაყოლოდნენ, მათთან ერთად არასოდეს დაჯდებოდა, — მონური მორჩილებით თავადურ წყალობას ღებულობდა.

ხაბიჯმა ნელ-ნელა მოიპოვა ძალაუფლება. ყოვლის-უემძლე გახლდათ. გლეხები ხშირად სთხოვდნენ, მიშველუცხენი მომპარეს და მაპოვნინეო, ან დავიღუპე, ძროხა დამკარგაო, და ხაბიჯიც არ დაზარდებოდა, საქმეც გამოსდიოდა ხელიდან — თავის მიერვე მოპარულ პირუტყვს ბატრონს უბრუნებდა. გლეხებიც სამსახურს სამშაგად უხდიდნენ. ყველა მასთან დამოყვრებას ლამობდა. დღესასწაულებზე ხაბიჯი თავადებზე ნაკლებ ძღვენს როდი ჯერდებოდა. მის გლეხეურ ეზოს მამულს ეძახდნენ.

ხაბიჯი ორმოც წელს იყო მიღწეული, მაგრამ ჯერ კიდევ უცოლოდ დადიოდა. ახლობლები გადაეკიდნენ, ოჯახს მოკიდეო, იგი დაპირებებს დაპირებებზე იძლეოდა, წლები მიდიოდა, მაგრამ ცოლს არა და არ ირთავდა. ახალგაზრდად კი გამოიყურებოდა, ჭალარა ჯერ არ გამორეოდა. მაგარი და ჯან-ღონით სავსე კაცი იყო. რომელი გლეხის გოგო არ გაპყვებოდა სიხარულით, მაგრამ ხაბიჯი ყოყოჩიბდა, ქედმალლობდა, ულამაზეს ქალიშვილებსაც არად აგდებდა, ყველას უპოვიდა ხოლმე რაიმე ნაკლს. ხალხმციოდა მისი წუნიაობის ნამდვილი მიზეზი — ლამაზი გოგო კი არ სჭირდებოდა ხაბიჯს, რამდენადაც „კარგი გვარი“. გლეხის გოგოებს ზემოდან დაჰყურებდა, თავადებისა და აზნაურების ქალები კი, რომელთაც იგი მარჯვედ და



პირმოთნეობით ეარშიყებოდა, თაკილობდნენ როგორც გლობუსებს. ასე დარჩა ხაბიჯი უცოლოდ და ეს აღიზიანებდა დედამისის ნათესავებს — უნდოდათ რძალი შეშველებოდა დედაბერს ოჯახში.

...დიდებულად მიცურავდა ცაზე ვერცხლისფერი მთვარე და მისი შუქი ეცემოდა მიწურ იატაკს, დედას მიერულ შეინარე ბავშვებს, ზღურბლთან ფხიზლად მთვლემარე კრთგულ ძალლს.

ხიკურს ძილი გაუტყდა, შეშფოთებული იყო, რომ დღეს ვეღარ მოასწრო ბოსტნის დაბარვა. მისი ფიქრები ხაბიჯს დასტრიალებდნენ და გული აუყვავილდა, რა ერთ-გული და მზრუნველი მეგობარი მყავსო. ხიკური დამშვიდდა, მაგრად ჩაიკრა ბავშვები და ჩაიძინა.

...მთვარე მაღლა იდგა ცაზე. ხაბიჯის ცხენმა თავი ანება ბალახის წიწკნას და ადგილზე გაირინდა ღამის სიგრძილისაგან აურეოლებული. გამოძინებული ძალლი ფაცხიდან ეზოში გავიდა. მხოლოდ პატარა ლეკვი წკმუტუნებდა საწოლის ქვეშ, სხვა არაფერი არღვივდა ღამის სიჩუმეს.

ის იყო მამლებმა დაიყივლეს, ხიკურს უეცრად გამოეღვიძა და შეძრწუნებულმა წამოიკივლა. ხიკურის საპატიო მოყვარე ხაბიჯი საცვლების ამარა მის საწოლზე იჯდა.

— რა განიზრახე? — აკანკალებული ხმით შეეკითხა ქალი, საბანში გაეხვია და შეევედრა: — შემიბრალე, ხაბიჯ!

— წყნარად... ბავშვებს გააღვიძებ, — წაიჩურჩულა ხაბიჯმა და პირზე დააფარა თავისი მძლავრი ხელი.



— არ გაბედო, არ მომეკარო, — ეხვეწებოდა სულიშე
ხუთული ქალი.

— რას ამბობ, რას? — ისმოდა ღამეში ხაბიჯის სა-
ზიზლარი, დამტკბარი ჩურჩული. — ნუთუ არავინ გიყვარა?
ქვეყანაზე? ვერა მცნობ? ეს მე ვარ, შენი ხაბიჯი! — და
ხელი შეაცურა საბნის ქვეშ.

ხიკური უფრო მაგრად გაეხვია საბანში, კედელს მიეკ-
რო და ხელი ჰკრა ხაბიჯს.

ხაბიჯმა ააგლიჯა საბანი, ძალით მიიზიდა გონდაკარ-
გული ქალი. არაფერმა უშველა: არც ცრემლმა, არც წინა-
აღმდეგობამ, არც ხვეწნამ, არც მუქარამ. მშიერი მგელი
განა დაინდობს თავის მსხვერპლს?!

წელიწაღზე მეტი გავიდა.

ხაბიჯი ხშირად აკითხავდა ხიკურს და მეზობლები ამა-
ში ცუდს ვერაფერს ხელავდნენ, — ისინი აქებდნენ კიდეც
ხაბიჯს, როგორი მზრუნველი კაციაო.

დილადრიან ხიკურმა მხარზე სიმინდით სავსე ტომარა
გაიდო და წისქვილში გასწია. მეწისქვილე შეპპირდა, სა-
ღამომდე დაგიფქვავო. ახლა ხიკურს შინ ეჩქარებოდა. დი-
დი ხშირი ტყე უნდა გაევლო. გზაზე ორი მხედარი შენიშ-
ნა. ისინი სწრაფად უახლოვდებოდნენ. ერთ-ერთ მათვან-
ში ხიკურმა ხაბიჯი შეიცნო, მეორე კი უცნობი იყო.

— დილა მშვიდობისა, ხიკურ! საიდან მოდიხარ ასე
ადრიანად? — ცხენი შეაჩერა ხაბიჯმა.

ხაბიჯის თანამგზავრმაც დაუჭირა ცხენს სადავე.

ხიკურმა უპასუხა, წისქვილიდან ვბრუნდებიო, გვერდ-
ზე გადახვევა უნდოდა — ფეხშიშველი იყო და მამაკაცების
წინ უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ ხაბიჯი სწრა-



ფად ჩამოხტა ცხენიდან. მის მაგალითს მიჰპარა მისმა თა-
ნამეზავრმაც — ხაუდმა. ხაბიჯმა მას გადასცა თავისი ცხე-
ნის აღვირი, თვითონ ხიკურს გაუყარა ხელი და მასთან ერ-
თად გაიარა მთელი გზა სახლამდე, თან ქალს ყურში საი-
დუმლოდ ბნელ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა.

მათ უკან მიმავალ ხაუდს ცხენები მიჰყავდა და თვალს
არ აშორებდა ხიკურს.

როცა სამივენი სახლში შევიდნენ, ხაბიჯმა განსაკუთ-
რებული მნაშვნელობით მიმართა ხაუდს:

— დაბრძანდით!

ხიკურმა კაბა გამოიცვალა, ფეხთ ჩაიცვა და საქმიანო-
ბა დაიწყო. მაგრამ დაბნეულს, ყველაფერი უვარდებოდა
ხელიდან. ქალმა თავის ოჯახში მიიღო ხაუდი, როგორც
სტუმარს შეეფერება, და ისე ეჭირა თავი, თითქოს არ იცო-
და რისთვის იყო მოსული. ხაბიჯი გადაკრულად ელაპარა-
კებოდა, ჰპირდებოდა, უფრო გვიან დაწვრილებით გიამ-
ბობ ჰყელაფერსო, მაგრამ ხიკური ისეც ხედებოდა, რო-
გორც იყო საქმე. და საბრალო ქალს მთელი ძველანა შე-
ეზიზდა.

ხაბიჯი ურცხვი, ჭროლა თვალებით აშტერდებოდა ხან
ხიკურს, ხან ხაუდს, თითქოს თავისი ცქერით აკავშირებდა
მათ ერთმანეთთან, მაგრამ ქალს ერთხელაც არ შეუხედავს
სტუმრისათვის, თუმცა გრძნობდა, რომ იგი განუწყვეტ-
ლივ უთვალთვალებდა მის ყოველ მოძრაობას.

— გავიდეთ, ხიკურ, პირისპირ მინდა მოგელაპარა-
კო. — მოურიდებლად განაცხადა ხაბიჯმა.

თავდახრალი ხიკური მორჩილად გაჰყვა ეზოში. ისინი
ლობესთან მივიდნენ, ხაუდი სარკმლიდან ხედავდა, როგორ



იწმენდა ხიკური ცრემლს თავსაფრის წვერით, ხაბიჭირებულები მოუთმენლად ტკეპნიდა მიწას და რაღაცაში დაქიჩინილი არწმუნებდა ქალს.

თითქმის მთელი საათი იღაპარაკეს, როცა შემობრუნდენ, ხაბიჯს თვალები უბრწყინავდა, პირქუში ხიკური კი ჩუმად დაჯდა კუთხეში.

ხაბიჯი ხაუდის გვერდით დაეშვა სკამზე. სიჩუმე ჩა-
მოვარდა.

— წავიდეთ! — თქვა ბოლოს ხაბიჯმა.

სტუმრები ეზოში გავიდნენ და ცხენებს მოახტენენ.



გვიანი საღამოა. ხიკურის ჭიშკართან რა ხანია ბლავის ძროხა, თავის ბაგას თხოულობს. მაგრამ არავინ უშვებს. შიგ. მხოლოდ პატარა ხბო მიკუნტრუშდა ლობესთან, ძრო-
ხამ თავი გამოჰყო და ხაოიანი ენით დაუწყო ლოკვა, თან-
დახშული კვნესის მაგვარ ხმებს გამოსცემდა. ვინ შემოუშ-
ვებს მას? ვინ შეუმსუბუქებს რძით გავსებულ ჯიქანს? არ
ესმის დიასახლისს ერთადერთი მარჩენალის ძახილი. მთე-
ლი საღამო იტირა ხიკურმა, სამყარო შავზე შავი ეჩვენე-
ბოდა. ასევე ფარულად, ადამიანებისაგან დამალულად,
გულმოკლული დასტიროდა იგი თავის ქმარს. იქვე ფუს-
ლუსებდნენ მული, და, მაგრამ ხიკური სასოწარკვეთილია-
რყო.

¹ ადათის მიხედვით არ შეიძლებოდა ცოლს დატირა გარდაცვლილი ქმარი, ისეც როგორც ქმარს — გარდაცვლილი ცოლი.

— ჩუმად, ვიღაც მოდის! — წამოიძახა მულმა, გავა და ეზოში და იმწამშივე შემობრუნდა შეშინებული. გვიპოვთ ისინი არიან!.. — წაიღულდღულა აცრემლებულმა.

ეზოში შემოვიდნენ მხედრები — ხაუდის ამხანაგები. მათ უნდა გაეცილებონათ პატარძალი. ორნი კიბესთან ჩამოხტენ ცხენებიდან, დანარჩენები კი ნახევარწრედ დადგნენ ჭიშკართან.

ხიური მივარდა ბავშვებს და მხურვალედ ჩაიკრა ბულში. მათ გაიღვიძეს, უბედურება იგრძნეს, ტირილი მორთეს და დედას ჩაებდაუჭნენ. ოი, დარდო, ოი, უბედურებავ! ხიური ბავშვივით აქვითინდა. და და მული ბრმებივით აწყდებოდნენ აქეთ-იქით.

მგელივით გავებული შემოვიდა ხაბიჯი და მტირალი ქალების დანახვაზე გაშმაგებულმა დაიღრიალა:

— ეს კიდევ რაღაა? — მიბრუნებული ქალები სასწრაულდ იწმენდდნენ ცრემლს თავსაფრის ბოლოთი.

— არა გრცხვენიათ?! იქ ხალხი იცდის! — შფოთავდა ხაბიჯი.

ქალები, საწყალი ქალები... ყინულის ლოდივით დააწვა მათ უბედურება. რა გაადნობს მას? ხაბიჯს არაფრის გაგონება არ სურდა. მოაშორა დედა ბავშვებს და გაათრია სახლიდან.

დილით ვითომ შეშფოთებული ხაბიჯი მტკიცე გადაწყვეტილებით შევიდა სოფლის სამხართველოში.

— გამარჯობა, ხაბიჯ! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — ფეხზე წამოდგნენ და ისე მიესალმნენ მას მამა-სახლისი და მწერალი.



— დასხედით, დასხედით, ღვთის გულისათვის. — მომარცხეა
წყალებით თქვა ხაბიჯმა, სკამი მაგიდასთან მისწია და ჩა-
მოჯდა.

— გაიგეთ, წუხელ რა მოხდა? — დაიწყო მან, — ხი-
კური ხაუდს გაპყვა ცოლად! დიახ, დიახ, უბადრუკ და
არაფრის მაქნის ხაუდს! დაპყარა თავისი ბავშვები ღვთის
ანაბარა! როგორ მოგწონ?

მამასახლისმა და მწერალმა გაოცებით გადახედეს
ერთმანეთს.

— ხიკური? — წამოიძახა მამასახლისმა. — როგორ
უნდა მომხდარიყო ეს?

— როგორ უნდა მომხდარიყო, თვალში მოუვიდა ხა-
უდი და საქმეც გაიჩარხა, არავის არ ჰყითხა, ჩემთვისაც კი
არაფერი უთქვამს! — ხაბიჯს ხმაზე აღშფოთება ეტყო-
ბოდა.

— კი, მაგრამ ბავშვებს რაღა ეშველებათ? — შეეკითხა
მამასახლისი ისე, თითქოს ძალიან ადარდებდა პატარების
გედი.

— ვერაფერი მომისაზრებია... — მხრები აიჩეჩა ხაბიჯ-
მა, — ნამდვილად უბედურება დამატება თავს... რამდენი
საზრუნავი გამიჩნდა. როგორ მოგწონთ, თავის სასურველ-
თან წასვლისას გამომიცხადა: ჩემი სახლი და მეურნეობა
როგორც გინდოდეს, ისე მოიხმარეო... პა? გაგიგონიათ?!

— აი, კუდიანი! პატარები მიატოვა! აი-აი-აი! — ერ-
თხელ კიდევ გამოხატა თავისი აღშფოთება მამასახლისმა
და მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა. მწერალმა ქალალდე-
ბის ალაგება დაიწყო მაგიდიდან.

— წავიდეთ, — უთხრა მამასახლისმა მწერალს, როცა

შან დაამთავრა თავისი საქმე, — საჭიროა ქონების აღწერა, სანამ არ დაუტაცნიათ.

— დიახ, დიახ, დაუყოვნებლივ, და უნდა დაინიშნოს მეურვე, — სასწრაფოდ დაუმატა ხაბიჯმა.

მამასახლისმა და მწერალმა ყურიც არ ათხოვეს ხაბიჯის ამ შენიშვნას.

— მომისმანეთ! მეურვე უნდა დაინიშნოს, — გაიმეორა ხაბიჯმა და მოუსვენრობა დაეტყო.

— აბა, ჩვენ რისთვის მივდივართ? — შეულრინა მამასახლისმა და მტრულად შეხედა ხაბიჯს.

— თუ ამისათვის მიდიხართ, — დაიყვირა მრისხანებისაგან წამოჭარხლებულმა ხაბიჯმა, — მაშინ მე რატომ არ მიწვევთ. მამასახლისო, ხომ არ აპირებ მთელი ჩვენა სოფლის მცურველ გახდომას?

— რას ამბობ, ხაბიჯ? საიდან მოიგონე ეგა? — მაშინვე დაშიუშინდა მამასახლისი, რადგან იცოდა, ხელს არ მისცემდა მდიდარ და გავლენიან ხაბიჯთან წაჩხუბება.

მეურვეობა სარტიანი საქმე გახლდათ და მამასახლისიც არავის უთმობდა სოფელში ამ უპირატესობას. მაგრამ მტრის შეძენა უფრო ადვილია, ვიდრე მოყვრისა. მამასახლისი დაწინა წინ წასულ გაბრაზებულ ხაბიჯს და დაიწყო მასთან მოლაპარაკება. წუთიც და საქმე გაიჩარება — მეურვედ ხაბიჯი დაინიშნა.

ასე შემობრუნდა უსამართლობა ხაბიჯის საკეთილ-დღეოდ. მიღებული ხიკურის ქონება თავისი სურვილისამებრ მოიხმარა. ახლა კანონიერ საფუძველზე გაქურდა და გაძარცვა იგი. ყველა ნაკებობა გაპყიდა, პირუტყვი მიითვისა. ვენახის შემოსავალი ჩაიკვიდა. ხიკურის ბავშვები სა-



ცოდავად ცხოვრობდნენ ხაბიჯთან: მუდამ მშიერ-მწერუსა-
ვალნი, დაულეთილნი, დაუბანელნი, მათ არ ჰქოლდება
არც ალერსი და არც ზრუნვა.

ხიკურმა კი ვერ გადაიტანა ბავშვებთან განშორება,
ჩამოჭერა და მაღე გარდაიცვალა.



გავიდა წლები. ხიკურის შვილები ჯატი და ჯანხვატი-
დავაჭყაცდნენ, ხშირი წვერი უმშვენებდათ სახეს. უფროსი,
კუანხვატი ალეის ხესავით აიშოტა, ბოხი ხმა ჰქონდა, ხასი-
ათით კი გულუბრყვილო და მიმნდობი იყო. არაეის გაუ-
გრა, რომ ვინმეს წალაპარაკებოდეს. უმცროსი, ჯატი, ძმა-
ზე დაბალი იყო, მაგრამ ბუნებამ არც მას დააკლო გულს—
დაასაჩუქრა ძალუმი მხრებითა და მკერდით, მაგრა და
ღონიერი კუნთებით, სიმამაცით. ხაბიჯის წაქეზებით ჯატ-
მა არა ერთი და ორი ბნელი საქმე ჩაიდინა. სასოფლო
გზებზე ხალხს ძარცვავდა და მუდამ დაპქონდა ქამარზე
ჩამოყიდებული თოკი, იქნებ საღმე სხვის საქონელს გადა-
ვაწყდეო.

ერთხელ ღამით ყინვამ ისე მაგრად მოუჭირა, ისე შე-
მოესალტა დედამიწას, გეგონებოდათ, მიწა საცაა გასკდე-
ბა და ნამსხვრევებად გაიფანტებაო. ასეთ ღამეში მხოლოდ
თბილ სახლებში სძინავთ. ღარიბები კი თავიანთ ფარლა-
ლალა ბინებში ლოგინზე წრიალებენ გაყინულნი.

ჯატი ამჯერად ჩვეულებრივზე ადრე ადგა, რიკაჟი
იყო, სამზადში ცეცხლი გააჩაღა, შალის მაღალყელიან
წინდებზე ძროხის ტყავის ვიწრო წულები ჩაიცვა და შა-

ნელ-ნელა ამოღიოდა მეწამული მზე, ჯერ ბალი გაანა-
თა, შემდეგ გარშემო ტყეები, ბოლოს მინდვრები და მდე-
ლოები. თანდათან გამოცოცხლდა ყველაფერი, მზის სხი-
ვებით განგმირული ბურუსი ზეცისაკენ მიიწევდა.

სამზადში მოგროვდნენ ჯანვახტი, ხაბიჯი, ჯატი და
ხაბიჯის მოხუცი დედა, რომელიც შავ თავშალში იფუონე-
ზოდა. ისინი ცეცხლს მოუსხდნენ. ის იყო ჯატი საქონლის.
გასაშეებად უნდა გასულიყო, რომ კარი გაიღო და შემოვი-
და ძმების ნათესავი ჩიკმიქი. ძალლებსაც კი არ დაუყეფ-
ნიათ, ისე ფრთხილად მოსულიყო იგი. ჯატი და ჯანხვატი
გახარებულნი წამოდგნენ პატივსაცემი სტუმრის შესახ-
ვედრად, რაღაც უბედურება მოხდა ალბათ, ჩიკმიქი რომ,
ასე ადრე მოვიდაო, — გაიფიქრეს.

— რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა? — შეეკი-
თხა ჯატი.

— დიახ, — ამოოხვრით უპასუხა ჩიკმიქმა, — მამა გა-
მიხდა ავად, ოჩამჩირეშია წასაყვანი, — და გაუბედავად
დაუმატა, — მაგრამ ფული არ შეოფნის...

გარდა ჯანხვატისა, ყველა მიხვდა, რომ იგი ფულის სა-
სესხებლად მოსულიყო.

— ეჰ, ცოდოა მოხუცი ედგი, — ვითომ თანაგრძნობით-
გამოეხმაურა ხაბიჯი, — ისედაც დასუსტებულია, — და
ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა, რისთვისაც იყო
მოსული ჩიკმიქი.

— სასტიკი ქარია, ფრთხილად იყავით, გზაში არ გა-
ცივდეს მოხუცი, — თქვა ჯანხვატმა.



— ო, რა უბედურებაა! რითაა ავად? — თანაგრძნობრივი გააქნია თავი ხაბიჯის დედამ.

ჩიკმიუი თავდახრილი იდგა, ისე თავაზიანად შემხვდენ, დახმარებაზე უთუოდ უარს შეტყვანო, — ფიქრობდა რგი.

— ფულს მოგცემთ, — მოულოდნელად თქვა ჯატმა.
ჩიკმიუს სახე გაუნათდა.

— ღმერთმა აგაშენოთ, ჩემო შვილებო, ადამიანები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ უბედურებაში, — შეაქო ხაბიჯმა ჯატი და დაუმატა, — მიეცით ჩიკმიუს ფული, მიეცით, თუ გაქვთ შემონახული...

ჩიკმიუი მიხვდა, საითაც უმიზნებდა ხაბიჯი და სახე ისევ მოელრუბლა. ჯატიც მოიღუშა და ნაწყენმა უთხრა ხაბიჯს:

— მე შენი იმედი მქონდა.

ეტყობა, ხაბიჯსაც საწყენად ეჩვენა საკუთარი სიტყვები და თავის მართლება დაიტყო:

— საიდანა მაქვს ფული, ყმაწვილო? ხომ იცი, თითოვით ცარიელ-ტარიელი ვარ.

ჯატი აენთო, მაგრამ არ შეედავა.

— მე მეგონა, გქონდა ფული, — შენიშნა მან, — ჩიკმიუი კი ჩვენი ნათესავია და...

— რომ მქონდეს, რატომ არ უნდა მივცეთ?.. შენი და ჩემი ნათესავი რას გაუყვია. ახლა ხომ არ გამიცანი.

— გიცნობ, დიდი ხანია, გიცნობ, — გაბრაზებით ჩაი-ჯუტბუტა ჯატმა და შეშა შეუკეთა ცეცხლს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ჩიკმიუი ხმადაბლა მიუბრუნდა ხაბიჯს:



— შენი იმედი უფრო მაქვს, ვიდრე ამათი, პატივცემულონ ხაბიჯ, მწამს, უარს არ მეტყვი, საურავსაც გადაგიხდი. თავადაც იცი, რას ნიშნავს, როცა უბედურება მოგიკაცუნებს კარზე.

— ო, ასე რატომ ამბობ, შვილო? არა გრცხვენია, საურავი რა სათქმელია, უცხო ხომ არა ვარ? ფული რომ მქონდეს, აი ჩემს ვაჟებს ვფიცავ, წუთსაც არ დავფიქრდებოდი, ისე ჩაგიდებდი ჯიბეში. უცხოებისთვის მიმიცია ფულა სესხად, შენ კი ჩვენიანი ხარ! მაგრამ დამიჯერე, ახლა კაპიკიც არა მაქვს.

ხაბიჯმა ერთხელ კიდევ დაიფიცა ჯატი და ჯანხვატი, კიდევ ერთხელ თანაუგრძნო ჩიკმიქს, მაგრამ ფული მაინც არ მისცა.

— რაღა დამრჩენია, ბედნიერად იყავით, — თქვა ჩიკმიქმა და თავჩაქინდრული გავიდა.

ჯატი არც ისე სახუმაროდ გაბრაზდა. რამდენჯერ გაუგონია ხაბიჯისაგან: მე არ მყავს ნათესავები, არც ვაჟი, არც ქალი, თქვენა ხართ ჩემი ვაჟები და მთელი ჩემი იმედით, ახლა კი დარწმუნდა, რომ ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვები იყო.

„ნათესავ კაცს მძიმე წუთებში არ დაეხმარა, უარი უთხრა რამდენიმე მანეთის სესხებაზე, მაშ რაღა „მამაა“ ჩვენი? — ფიქრობდა გაჯავრებული ჯატი, — უსინდისო, სულმდაბალი და მატყუარა კაცია!“.

ხაბიჯი თითქმის მიუხვდა ჯატს, მაგრამ ვითომც არა-ფერიო, ყალბი ომახიანობით წარმოთქვა:

— აბა, შვილებო, დღეს შეშა უნდა ვზიდოთ! ხედავთ, ამინდი ფუჭდება, როგორც ჩანს, წელს დიდი თოვლი მოვა.



შემდეგ რომ არ ვიწვალოთ, მოდით, ადრიანად მოჭრილი გოთ შეშა და ჩალა.

— ურემი და კამეჩი მზადაა. შეშას და ჩალას მოვიტანთ, ამით საქმე არ დაბრკოლდება. მაგრამ კერ ჩემი საწყენი უნდა გითხრა. — შესამჩნევი აღელვებით მიმართა ჯატმა.

— რა მოხდა, ვაჟო? შეურაცხყოფა მოგაყენა ვინმემ? პოროტი სიტყვა გითხრა?

— შენ მაწყენინე.

— მე? როდის, ვაჟო? რა ჩავიდინე?

— ჩქარა ივიწყებ... რატომ არ მიეცი ფული ჩიკმიქს? მომ იცი, ჩვენი ახლობელია.

ხაბიჯმა შემპარავი აღერსით უპასუხა:

— ქვეყანაზე არავინ მყავს თქვენზე ახლობელი! თქვენ ჩემი ღვიძლი შვილები ხართ, მხოლოდ თქვენ! მე აღზარდეთ. მიმოიხედეთ ჩემს ოჯახში: სახლიც, ეზოც, ღობეც, მიწაც, საქონელიც — ყველაფერი, ფული, ტანსაცმელი, ავეჯი, ჭურჭელი განა თქვენი არაა!

ჯატმა ცივად უპასუხა:

— შენი სიძუნწით მეგობრები და ნათესავები ჩამოგვ-შორდება. რას იტყვის ხალხი?

— არა, შვილო, მე გულით მიყვარს ჩიკმიქი, მაგრამ იქვენ, ჩემი აღზრდილები, უფრო ძვირფასი ხართ. ფულს, თუ შენახული მაქვს, ისევ თქვენთვის ვუფრთხილდები, შაუი დღისათვის!

მაგრამ ჯატმა აღარაფერი ესმოდა, ხაბიჯი კი არ ცხრებოდა:

— ჰო, შვილო, ეს ფული თქვენია და სხვას არავის



შივცემ; მაღალი ღმიერთი გფარვიდეთ ჩემს გასახარად! — გვიპოვთ ხაბიჯმა თვალები აღაპყრო ჭერისაკენ და ლოცვა ჩაიბუტ-ბუტა.

ისევ მოვიდა გაზაფხული. მზე ისევ ალერსიანად და ნაზად ათბობდა ამწვანებულ დედამიწას. ასეთ დროს სუნ-ოქვაც კარგია და მუშაობაც.

ჯატიმ და ჯანხვატიმ განიზრახეს დახნული მინდვრი-სათვის ახალი მესერი შემოევლოთ, რომ საქონელი არ შე-სულიყო. ტყეში შესაფერი ხე იპოვეს, ჯატი ზედ აძვრა — მარგილებისათვის მსხვილი ტოტები უნდა მოეჭრა, ჯან-ხვატმა იქვე მოშორებით დაიწყო წნელის ჭრა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და მუშაობა წინ მიდიოდა. უეცრად ჯატი დასხლტა როკზე და თავით გადმოეშვა ძირს. ხელებს უმ-წეოდ ასავსავებდა ჰაერში. გადმოეშვა და პირდაპირ ახ-ლადწათლილ მარგილის წვერს დაასკდა, რომელიც თით-ქოს განგებ აშვერილიყო ხის ძირას.

გაისმა მოკლე შეუვირება. მთელი ძალით გამოიქცა ჯანხვატი ძმისაკენ. ჯატი უძრავად იწვა. ცრემლმა იფეოქა ჯანხვატის თვალებიდან. აი, ნამდვილი უბედურება, ჭეშ-მარიტი მწუხარება!

ჯატიმა წვალებით გაახილა თვალი.

— მიშველე, — ძლივს გასაგონად დაიკვნესა და ტან-ჯვა აესახა სახეზე.

ცრემლად გაღვრილმა ჯანხვატმა ძმა მხარზე აიკიდა და ფრთხილად წავიდა შინისაკენ.



ხაბიჯმა შორიდან დაინახა ჯანხვატი თავისი ტექსტის
და შესახვედრად გამოექანა. როცა დაჭრილი სახლში შე-
იყვანეს და ლოგინში დაწვინეს, ხაბიჯმა მოთქმა-გოდება
დაიწყო:

— ო, ო, ეს რა გვიქენი? როგორ ვიცხოვოდთ-უშე-
ნოდ?! ყველაფერი გაცამტვერდება.

მაგრამ რაც უფრო ხმამალლა მოთქვამდა, მით უფრო
ეტყობოდა, მაინცდამაინც არ აწუხებდა ჯატის უბედუ-
რება.

ბარძაყი ჰქონდა გადატეხილი საწყალს, სხეულზე ავის
მომასწავებლად მოჩანდა მუქი სისხლჩანაქცევები. რა
უნათ? — ხაბიჯმა დაბნეულად გაშალა ხელები. ჯანხვატი
სოფლის მკურნალთან გავარდა.

ავადმყოფს დიდხანს და დაუინებით მკურნალობრენენ,
წამლობდნენ, როგორც შეეძლოთ, მაგრამ ჯანხვატის იმე-
დი, რომ მმა ძველებურად ყოჩალად იქნებოდა, არ გამარ-
ოლდა. სიცოცხლით სავსე ჭაბუკი, თავისი ღონით ვანთქ-
მული დევგმირი და მოუსვენარი მშრომელი გადაიქცა სა-
ცოდავ და უსუსურ ხეიბრად. ძლივძლივობით მოძრაობდა
და კვნესოდა ტკიფილების ხშირი შეტევებისაგან. მას შემ-
დეგ არავის უნახავს ჯატის სახეზე ღიმილი, თვალები მუ-
დამ კაეშნით ჰქონდა სავსე. როდესაც ჯანხალ და ღონიერ
თანატოლებს უყურებდა, ჯატი მწუხარე ფიქრებში იძი-
რებოდა, არაფერი ართობდა. საჭმელს არ ეკარცხიდა.
არც იყო მახლობელი, რომ ვინმეს ენუგეშებინა. ჭკუამოკ-
ლე ჯანხვატი მთლიანად ხაბიჯის გავლენის ქვეშ მოექცა
და ჯატის თითქმის არ ჰქონდა იმედი მისი მხარდაჭერისა.

რაკი ხაბიჯი დარწმუნდა, ჯატი ვეღარ გამოჯან-



მრთელდება, ზედაც აღარ უყურებდა ავადმყოფს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ეუბნებოდა ჯატის: „ყველაფერს შენოვის ვინახავ, შენა ხარ ჩემი გაეი“. ახლა კი, აშკარად უმტკიცებდა ჯატის, უმჯობესია მამობილის სახლიდან წახვიდე და დამოუკიდებლად იცხოვრო.

როცა ჯატმა ცოტათი მოიკეთა, თავის თავს უთხრა: „რატომ ვიცხოვრო ისეთ კაცთან, რომელსაც ზედმეტ ტიტორთად ვაწვები კისერზე? წავალ, როგორმე გავიტან თავს!“ ამარჩია დრო და განუცხადა ხაბიჯს, ჩევნი წილი ქონება მოგვიცი და ძმები ძველ, მამისეულ მიწაზე გადაჭ-სახლდებით.

ხაბიჯს ამის გაგონება არ სურდა. მაშინ ჯატმა მოიწ-ვია სოფლის უხუცესნი, დაიწყო გაუთავებელი მოლაპარა-კება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჯატიმ სასამართლოში იჩივლა. „ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს“, — მუქარით უპასუ-ხა ხაბიჯმა და მაშინვე გასწია თავის გაზრდილთან, გავ-ლენიან თავად მსუსტან დახმარების სათხოვნელად.

სასამართლომ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

„ვინაიდან ხაბიჯმა აღზარდა ჯატი, ამიტომ ჯატს უფ-ლება ერთმევა ხაბიჯის ქონების ნაწილზე. რაც შეეხება ჯატის მამის მიწას, არსებული ცნობებით, ხაბიჯმა ამ მი-წაზე მოელი მეურნეობა მოაწყო (სასამართლოს მხედვე-ლობაში ჰქონდა თამბაქოს ფარდული) და, რასაკვირვე-ლია, ჯატის ეს სწრაფვაც უსაფუძვლოა. თუმცა, — ამბობ-და შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება, — თუ ჯატს უნდა აუცილებლად იცხოვროს მამისეულ მიწაზე, უფლე-ბა ეძლევა შეისყიდოს იგი ნაღდ ანგარიშზე, ოღონდ ჯერ

ორივე ძმამ ხუთ წელიწადს ხაბიჯთან უნდა იმუშაოს მო-
ჯამაგირედ და აუნაზღაურონ მათი აღზრდის ხარჯებისას მო-
სასამართლოს შემდეგ ხაბიჯმა მოთაფელა დაუწყო
ჯანხვატს:

— მე შენ გიშველე. ყველაფერი, რაც მაბადია, მხო-
ლოდ შენ დაგრჩება. რა საბაბით მიღიხარ? ამაზე არც ახ-
ლა იფიქრო და არც შემდეგ...

უნებისყოფო ჯანხვატი ადვილად დაემორჩილა ხაბიჯს.
ასე გაწყვიტა ხაბიჯმა უკანასკნელი კავშირი ძმებს შორის.
ჯატისათვის ეს მეხის დაცემა იყო. სასამართლოს შემდევ
კი იმედოვნებდა ჯატი, ძმის შემწეობით წელში გავიმარ-
თებიო. ავადმყოფი, არაფრის მქონე, უთვისტომო ჯატი
მარტოდმარტო დარჩა. რა ექნა, როგორ ეცხოვრა დატაკ
ხეიბარს? რჩებოდა ერთი: სოფელ-სოფელ კოჭლობით უნდა
ევლო და გულშემატკივარი ადამიანების მოწყალებით ეარ-
სება...

რამდენიმე წელი კიდევ გავიდა.

ჯატის ჯანმრთელობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. ტკი-
ვილებს თანდათან იშეიათად გრძნობდა. თითქოს ნელ-ნე-
ლა უბრუნდებოდა ძველებური ძალა. მას უკვე შეეძლო
ორივე ფეხზე თავისუფლად დგომა. და თუ ამ ცოტა ხნის
წინათ, ერთ დღეს რომ იმუშავებდა და შემდეგ მთელი კვი-
რა იწვა ხოლმე, ახლა შეეძლო რამდენიმე დღე ზედიზედ
ემუშავნა.

ჯატმა პატარა სახლის აშენებაც განიზრახა. სახურავი
მაინც ექნებოდა თავზე! კეთილი ხალხის დახმარებით მცხ-
ურა ხე-ტყე და ხაბიჯის მამულთან ახლოს, კლდის ძირას
ააშენა პატარა ფარდული.

ასე დაიწყო ჯატმა დამოუკიდებელი ცხოვრება.

ხაბიჯის სახლის აივნიდან ადვილი შესამჩნევია მთის ფერდობზე, მწვანეში ჩაფლული პატარა შენობის სახურავი. ხაბიჯის სახლსა და ფარდულს შორის მაღალი ტყეა და კაცი ვერ მიხვდება, რა ნაგებობაა ეს.

უფრო ზევით, მთაზე გაჭიმულია თამბაქოს ღეროების სწორი მწყრივები, აქედან შეიძლება დასკვნა, რომ მწვანეში ჩაფლული შენობა ალბათ თამბაქოს ფარდულია. მას ახურავს ძველი, ჭვარტლისაგან გაშავებული და ზოგან ახალთახალი ყავარი.

ეს შენობა ჯატის სახლიც არის და ფარდულიც. დაწნული კედლით გაჰყო იგი შუაზე. ერთ ნახევარში ცხოვრიობდა, მეორეში კი, რომელიც თამბაქოს საშრობად იყო განკუთვნილი, თამბაქოს ჩარჩოებს ინახავდა. თამბაქოს პლანტაციიდან მის წინ იშლებოდა ხაბიჯის მამული; ჯატის გამჭრიას თვალს შეეძლო ყველაფრის დანახვა, რაც კი ხაბიჯის ეზოში ხდებოდა.

გვიანი დილა იყო, მზე კარგა მაღლა იდგა, როცა ხაბიჯი შევიდა თავის ეზოში და ცხენი კიბესთან გააჩერა. ხელში ფრთხილად ეჭირა ფქვილიანი პატარა ტომარა.

— სტუმრები ადგნენ? — შეეკითხა იგი გოგოს, ჩამოხტა ცხენიდან და ტომარა გადასცა.

— არა, ჯერ არ ამდგარან. — გოგომ ფქვილი შეიტანა: სამზადაში ცეცხლი ლაპლაპებდა კერაზე, ქალები ფუსფუსებდნენ და სადილს ამზადებდნენ. დიდი, შებრა-წული დედლები ელაგა მაგიდაზე, ხანში შესული, გამხდარი ქალი ცეცხლზე ხის შამფურზე წამოგებულ მამალს ატ-

რიგალებდა. თავსაფარწაკრული ხაბიჯის დედა კუთხეში ჩაცუცეული რეცხდა ჭურჭელს. აქმშინებულმა ჯანმუხურებელმა შეშა შემოიტანა და გრიალით დაყარა იატაკზე.

შემდეგ მიუჯდა ცეცხლს, აიღო სტუმრების პატივსაცემად დაკლული ცხვრის ბარკალი და ცეცხლის აღზე დაუწყო შერუჯვა. ხაბიჯმა თავის ადგილას დააწყო აღვირი და უნაგირი, ათუხთუხებულ ქვაბიდან პატარა წევეტიანი ჯობით ამოიღო ხორცის ნაჭერი, შეათვალიერა, ჯერ მზად არააო, თქვა, და ჯანხვატს უბრძანა, ცეცხლისთვის შეშა შეეკეთებინა. თვითონ კი გაემართა სტუმრებისაკენ, რომელთაც ცალკე ოთახი ჰქონდათ დათმობილი.

სტუმრები ზოგი იცვამდა, ზოგი კი ისევ ნებივრობდა ლოგინში.

— ადრე დგებით, ძვირფასო სტუმრებო! მოასწრებთ, რატომ იჩქარით! მოისცენეთ! — მიეღლაქუცა მათ ხაბიჯი.

ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა, ჩასუქებული კაცი, წმინდობდა, პირისგემოს კაცი გახლდათ. ოთარს ეძახდნენ, თავად მსუსტის ვაჟი იყო.

— ამ დილით დაგინახე ცხენზე, — მიუბრუნდა იგი ხაბიჯს, — სად იყავი ასე ადრიანად?

ხაბიჯი სიკვდილს უფრო ინატრებდა, ვიდრე იტყოდა, ასე ადრე წისქვილში ვიყავიო. თავისი ღირსება რომ არ დაემცირებინა სახლოვანი ადამიანების თვალში, გულგრილად მიუგო:

— აჩად, ძვირფასო, ცხენს გეძებდი.

— წავიდეთ, ჩაცმაში ხელს ნუ შევუშლით ხალხს, — თქვა ოთარმა და ხაბიჯი წინა ოთახში გაიყვანა.



იქ შეჩერდნენ და დიდხანს ლაპარაკობდნენ დახშულობისა
ხმით, დორდადრო იცქირებოდნენ თამბაქოს პლანტაციისა
და მწვანეში ჩამალული სახლის ჭრელი სახურავისაკენ.
შემდეგ ჩამოვიდნენ კიბეზე, გაიარეს სახლებს შუა და
ხრამში ჩაიმალნენ.

აიგანზე ორი მოხუცი სტუმარი გამოვიდა. ისინი მდიდ-
რულ ჩოხა-ახალუხში იყვნენ გამოწყობილნი, მოოქროვი-
ლი ხანჯლები და გერცხლით მოსევადებული დამბაჩები
უბრწყინავდათ. მოხუცები მოაჯირზე მაგრად მიკრულ
ძელსკამზე დასხდნენ, ხოლო მესამემ, ახალგაზრდამ, ახლა-
ხან რომ გამოვიდა, კართან დაიდგა სკამი და მათ პირდა-
პირ დაჯდა.

ეზოში ოთარი გამოჩნდა. ახალგაზრდა კაცი მაშინვე
წამოხტა ადგილიდან და მიმართა:

— დაჯექი, გეთაყვა!

— შენ დაჯექი, იუანა, სტუმარი ხარ, — მიუგო ოთარ-
მა, ავიდა აიგანზე და იატაკზე მოიკალათა.

სტუმრები საუბრობდნენ. თავისი ტკბილი ხმით გამო-
რჩეოდა მწითური და ცისფერთვალება კუაცია. მეორე,
ნასუქი ღორივით ჩამრგვალებული ყაზილბეკი, კისერს ვერ
აპრუნებდა, მთელი ტანით მოტრიალდებოდა ხოლმე და
ამ დროს ნიკაპზე ჩამოშვებული კანი ინდაურივით უნაოჭ-
დებოდა. მისი ვაჟი, გამხდარი იუანა მამას არც გარეგნო-
ბით ჰგავდა და არც ხასიათით. გვერდზე შესაკრავი
ბრჭყვიალალილებიანი სატინის ხალათი კოხტად ადგა
ტანზე. ხალათის ზემოდან კი თხელი საზაფხულო პალტო
წამოესხა. სოხუმში სწავლადამთავრებული იუანა წელს
დაბრუნდა შინ.



სტუმრები დაუღალავად მახვილისიტყვაობდნენ მკაფიოდ გადასახლებოთა და სანამ ქალებმა წყლიანი დოქი, საპონი და პირსახოცი არ მოიტანეს. ჩვეულებრივი ცერემონიებისა და უფროს-უმცროსობის დაცვით სტუმრებმა ხელი დაიბანეს.

ყაზილბეჭმა მოიგონა გუშინდელი დიდი ქელები, სწო-რედ იმ ქელებიდან შემოიარეს მათ ხაბიჯთან ღამის გასა-რევად.

— კარგი კაცი იყო უბედური ასთანა, ქელებიც დიდე-ბული გაუმართეს! ძმებიც ერთმანეთზე უკეთესი ჰყავს, — შეაქო მან გარდაცვალებულის ძმები.

— ქელები მართლაც კარგი იყო, მაგრამ ჩვენი წასკლის დროა, მამა, — თქვა იუანამ.

— რაც სწორია, სწორია, დროა დავიძრათ. უბრძანე, ცხენები შეკაზმონ, — მიუბრუნდა ყაზილბეჭი ოთარს.

მაგრამ ოთარმა იცოდა სამზარეულოს ამბები და უპა-ცუხა:

— სად იჩქარით? დღე ისე გრძელია, რომ ვფიცავ, სამ-ვერ მოასწრებთ თქვენი საქმეების მოგვარებას, — და მას-პინძლების დასაჩქარებლად გავიდა.

ხაბიჯმა შემოირბინა.

— ძვირფასო სტუმრებო, არ შემიძლია თქვენი ასე გაშვება, არ შემიძლია, გთხოვთ, ცოტა შეიცადოთ...

სტუმრები ისევ დასხდნენ, ხაბიჯი გავიდა და ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა, ხელში საოცრად ლამაზი კარ-გალური¹ თოფი ეჭირა, დაე, სტუმრები ამის ჭვრეტით და-ტკბნენ, ვიდრე სუფრა გაიშლებოდესო.

¹ ძველებური კაფიანი თოფის სახელწოდება.

თოფი მართლაც შესანიშნავი იყო: ძველებური ნახელა-
ცი, გერცხლით მოსევადებული, კონდახი ძვირფასი ქვებით
ჰქონდა მოჭედილი.

— ოჲ, რა კაცი ხარ, ხაბიჯ! — წამოიძახა ყაზილბეკ-
ბა, — ქვეყანაზე არ არსებობს ისეთი ძვირფასი ნივთი, შენ
რომ არ გქონდეს გადამაღული. ეს საიდან გაქვს?

შველა ათვალიერებდა ამ იშვიათ თოფს, გაკვირვებულ-
ნი და აღტაცებულნი იყვნენ; ოთარი იდგა გაუნძრევლად.
იგი თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა ადამიანს, გულ-
მოდგინედ რომ მარგლავდა მთაზე თამბაქოს.

— თოფი გატენილია, დენთის მოყრალა აკლია, —
თქვა ხაბიჯმა და თოფი და დენთი მიაწოდა ყაზილბეკს.

— განა ისერის? — მთიდან თვალმოუშორებლივ, და-
ცინვით შეეკითხა ოთარი.

— ტყუილად იცინი! — შენიშნა ყაზილბეკმა, — ახლა
მახსენდება, რომ ამ თოფით ბაბუაჩემი თურქებს ებრძოდა
შავ მდინარეზე.

— შორს ისერის? — შეეკითხა კუაცია.

— შორს, თუ ზუსტად დაუმიზნებ, არასოდეს გიღალა-
ტებს, — ამ სიტყვებით ხაბიჯმა დენთი დააყარა თოფის
საპირწამლეს.

ყაზილბეკმა ლობესთან თეთრად მოელვარე ქეას დაუ-
მიზნა და ესროლა — ტყვიამ გვერდზე ჩაუქროლა.

— ეჲ, მთლად დავბერდი, თვალი მღალატობს, — წყე-
ნით წარმოთქვა ყაზილბეკმა.

— განა შეიძლება ამ ადამისდროინდელი თოფით სრო-
ლა?! — უთხრა ოთარმა.

თოფი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს იგი ოთარ-
მა აიღო, ლულაში ჩაიხედა და დაუდევრად თქვა:

— ნაჭდევებიც არ ეტყობა...

— გატენეთ, მე გავისვრი! ვნახოთ, რა იქნება! — თქვა
ამდენ ხანს გაჩუმებულმა იუანამ.

— მამაშენმა ვერ მოახველრა და თუ ვაჟიშვილმაც
ააცილა, მთელი ოჯახი ჭამთ სირცხვილს, — იხუმრეს დამ-
სწრეებმა.

ხაბიჯმა სწრაფად გატენა თოფი და მოწიწებით მიარ-
თვა იუანას, რომელიც აივნის მოაჯირთან დადგა მოხერ-
ხებულად.

უცბად მას ოთარი მიუახლოვდა.

— აი, საით ისროლე! — უთხრა და თითით აჩვენა მთის
ფერდობზე მომუშავე კაცზე.

იუანამ გაკვირვებული თვალებით შეხედა ოთარს.

— რას ამბობ, ოთარ! ჭკუაზე ხარ? კაცს ვესროლო,
როგორც სამიზნოს?!

მაგრამ ყაზილბეჭს მოეწონა ოთარის უხიაკი წამოწყე-
ბა და მხარი დაუჭირა. კუაცია გაჩუმდა, მისთვის სულ ერ-
თი იყო, საით და ვის ესროდნენ.

— იქამდე ტყვია ვერც მიაღწევს, — ჩაერია ხაბიჯი.
იგი კანკალმა აიტანა, ძლივს დამალა სურვილი, რომ იუ-
ანას ესროლა მთაზე მომუშავე კაცისათვის.

— როგორ არ მიაღწევს, — შეედავა იუანა და ესროლა
თეთრ ქვას, რომელსაც მამამისმა დააცილა. ქვა ნამსხვრე-
ვებად გაიფანტა.

— გატენე ხელახლა! — წამოიძახა აზარტში შესულმა
იუანამ და ხაბიჯს გაუწოდა თოფი.



— არა, ახლა ჩემი ჯერია! — ცივად თქვა ოთარმა, გა-
მოართვა ხაბიჯს თოფი და მჭიდროდ მიეკრა აივნის მოაჰილეობას
ჯირს.

დიდხანს უმიზნებდა.

სამზადიდან ჯანხვატი გამოვარდა.

— არ ესროლოთ, იქ ჯატია! — დაიყვირა მან.

მაგრამ გაისმა გრიალი. თოხი გაუვარდა ხელიდან
ჯატს, მისი ტანი დაგორდა ფერდობზე.

— ა-ა-ააა! ჯატ! დაგღუპეს! — მკერდში მუშტების
ცემით წამოიყვირა ჯანხვატმა და შეშლილივით გაიქცა
ჭიშკრისაკენ.

ხაბიჯმა, ოთარმა და ყაზილბეკმა გადაიხარხარეს. კუ-
აციამაც ჩაიხითხა.

მხოლოდ იუანა არ იცინოდა, თავზე წაივლო ხელი და
დაიკვნესა:

— ხომ ვამბობდი, არ გინდათ, არ გინდათ სროლა-
მეთქი.

მაგრამ მას არავინ მიაქცია ყურადღება.

୩୧୯୫୩୦

ପ୍ରଦର୍ଶନ ଘର୍ଷଣ

ତାରଗମାନି ଲ୍ଲ. ମର୍ଗେଳାଶ୍ଵର ଲୋକେ ୫
,,ରୁକ୍ଷତିର ରା ମନ୍ଦିରା?“

ତାରଗମାନି ମ. ଗ୍ରାନେଲ୍‌ମାର୍କ୍‌ରୋବର୍ . . . ୩୭
ପାର୍ତ୍ତିବାଲ୍‌ମୁଖ ତାରଗମାନି

’ତାରଗମାନି ଏ. ସାନ୍‌ତାରାମାନିକାର୍ତ୍ତା . . . ୪୮

რედაქტორი ც. ჩხაიძე
მხატვრები: თ. ჯიშკარიანი, ლ. დუნდუა
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური ლ. ჭვარცხავა
კორექტორი მ. ლალაძე

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/V-68 წ.
შალალდის ზომა $70 \times 108!/\frac{32}{3}$
ნაბეჭდი თაბახი 2,375
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,86
უ 00271 ტირაჟი 5.000 შეკვ. № 958
ფასი 15 კაპ.

*

გამომცემლობა „ნაკადული“, მირგანიშვილის, ა
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили, 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭ.
დვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთა-
ვარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2,
„ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის, 5
Типография № 2, «Накадули», Главполи-
графпрома Государственного Комитета Со-
вета Министров Грузинской ССР по печа-
ти, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5



ეროვნული
ბიბლიოთეკა

С (Абх)2
894.611.3—32
з. 182

7—3—3

Папаскири Иван Георгиевич
Радостный день
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1968

7. 191/228



ԱՐՄԵՆԻԱ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
Ազգային
Գրադարան

中原書畫
2012年1月

